

ახალციხის რაიონში
ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების
კომპლექსური ტექნიკური ანგარიში
(ძეგლი IV-323 ორჭოსანი, 249-ე პლ)

ავტორები
მალხაზ ბარამიძე, ლერი ჯიბლაძე, თემურ თოდუა,
ალექსანდრე ორჯონიკიძე

მოამზადა:
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგის ცენტრი
უზნაძის ქ. №14
0102 თბილისი, საქართველო

გადაეცა:
BTC/ SCP მილსადენის კომპანიას
საბურთალოს ქ. №38
0194 თბილისი, საქართველო

სამუშაოები შესრულდა კონტრაქტების საფუძველზე:
C-06-BTC-116628
C-06-SCP-116630
HL-244

I ნაწილი

2007

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა	3
1.0 შესავალი	4
2.0 გარემო ფონი	5
2.1 ძეგლის მდებარეობა და აღწერა	5
2.2 წარსული გარემო	6
2.3 მიწის გამოყენების ისტორია	7
3.0 კულტურულ ფონი	8
3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი	8
3.2 წარსულში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა	16
4.0 მეთოდოლოგია	17
4.1 საკელე მეთოდები	17
4.2. ლაბორატორიული მეთოდები	17
5.0 შედეგები	18
5.1 ძირითადი მონაცემების მოლკე მიმოხილვა	18
5.2 ძეგლები	19
5.3 არტეფაქტები	20
6.0 ინტერპრეტაცია	23
7.0 დასკვნები და რეკომენდაციები	25
8.0 ბიბლიოგრაფია	26
 დანართების სია	
დანართი A არტეფაქტების ნუსხა	29
დანართი B ანთროპოლოგიური კვლევის შედეგები	
დანართი C ანთროპოლოგიური მასალის ნუსხა	
დანართი D კომპლექსური ტექნიკური ანგარიშების ავტორების რეზიუმეები	
დანართი E არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ნებართვა	
 ტაბულების სია	
ტაბულა I საქართველოში ძეგლის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა	
ტაბულა II ერთი კილომეტრის რადიუსში მდებარე ძეგლების რუკა	
ტაბულა III პედოლოგიური და არქეოლოგიური სტრატიგრაფია	
ტაბულა IV სამარხი №2	
ტაბულა V არტეფაქტები II დონიდან	
ტაბულა VI არტეფაქტები №2 სამარხიდან	
ტაბულა VII არტეფაქტები I და II დონეებიდან	
ტაბულა VIII არტეფაქტები I დონიდან	
ტაბულა IX კრანიოლოგიური მასალა №1 და №2 სამარხებიდან	

მოქლე მიმოხილვა

BTC და SCP მილდსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული გადარჩენითი და კვლევითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულ იქნა 249-ე კილომეტრზე, ძეგლ IV-323-ზე, ადგილ ორჭოსანში, ადიგენის რაიონში, სამცხის რეგიონში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მიერ. ამ ანგარიშის თემას წარმოადგენს აღნიშნულ ძეგლზე 2004 – 2007 წლებში წარმოებული არქეოლოგიური საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგები.

არქეოლოგიური გათხრები მილსადენების ტრასისათვის განკუთვნილი, ლიმიტირებული კოროდორის ფარგლებში იწარმოებოდა, რის შედეგადაც ნაწილობრივ გაითხარა არქეოლოგიური უბანი, რომელმაც გამოავლინა ორჭოსანის მრავალფენიანი ნასახლარი და სამაროვანი. ძეგლის ადრეული ფენები ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნა, უფრო გვიანდელი კი რომაული და შუასაუკუნეებით დათარიღდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე თანამედროვე სამარხებიც მდებარეობდა. ნასახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული არტეფაქტები თიხის, ქვისა და ლითონისგან არის დამზადებული. მათგან უმრავლესია კერამიკული ნაწარმი. ასევე აღმოჩნდა სამშენებლო მასალის ფრაგმენტები, სამეურნეო იარაღები და სხვადასხვა ხანის სამკაული. ძეგლის ტერიტორიაზე ასევე აიკრიფა პალეოლიტური იარაღი.

არქეოლოგიურ უბანზე შეგროვდა ანთროპოლოგიური, პალეოზოლოგიური და პალეობოტანიკური მასალა, რომელთა ანალიზმაც მნიშვნელოვნი მონაცემები მოგვცა სამცხის რეგიონის პალეოგარემოს რეკონსტრუქციისათვის.

ძეგლი ნაწილობრივ იქნა გათხრილი და მისი გავრცელების არეალი სრულად ვერ განისაზღვრა. ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით შეუსწავლელი დარჩა.

გათხრების შედეგად ნათელი გახდა, რომ პალეოლიტიდან მოყოლებული ეს ტერიტორია ადამიანის საქმიანობის უწყვეტ კვალს ატარებს. ძეგლის გათხრის პროცესში და მასალის ლაბორატორიული დამუშავების შემდეგ წამოიჭრა რიგი საკვლევი თემებისა, რომლებიც აქტუალურია სამცხის რეგიონის პრეისტორიული და ისტორიული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად:

- ადრესამიწაომოქმედო და მტბარ-არაქსულ კულტურათა ურთიერთკავშირი
- კლასიკური ხანის სამაროვნები და მესხეთის ეთნოკულტურული პრობლემები
- ადრეშუასაუკუნეების სამშენებლო ხელოვნება
- გვიანშუასაუკუნეების მოსახლეობის მატერიალური კულტურა და ეთნიკური ვინაობა (მაჰმადიანი მესხები)

1.0 შესავალი

გათხრების მიზანი

გათხრების მიზანს წარმოადგენდა BTC და SCP მიღსადენების მშენებლობის პროცესში გამოვლენილი მრავალფენისი ნასახლარისა და სამაროვნის გადარჩენა და მისი შეძლებისდაგვარად გამოკვლევა. ადგილ ორჭოსანში გათხრების შედეგად გამოვლინდა ენეოლით-ბრინჯაოს ხანის, რომაული ხანისა და შუასაუკუნეების დროინდელი ძეგლები. სულ ??? შენობა, ??? ორმო ??? სამარხი და ??? არტეფაქტი.

პროექტის დამფინანსებელი

საველე კვლევა-ძიება და ლაბორატორიული სამუშაოები დაფინანსებული იყო BTC/SCP მიღსადენების კომპანიების მიერ.

ნებართვები და კონტრაქტები

ნებართვა №11, ფორმა №1 გაიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისიის მიერ მაღაზ ბარამიძის სახელზე, ადიგენის რაიონში, ადგილ ორჭოსანში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად.

აღნიშნული სამუშაოებთი მიმდინარეობდა შემდეგი კონტრაქტების საფუძველზე: საველე სამუშაოები HL-095, HL-102, HL-104, HL-105, HL-106, HL-108, HL-115, HL-127, HL-130, HL-134, HL-143, HL-149, HL-152, HL-153, HL-181, HL-183, HL-184, HL-186, HL-188, HL-189, HL-192, HL-193, HL-199;

ლაბორატორიული სამუშაოები HL-207, HL-218, HL-230, HL-244

სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისია უფლებამოსილი იყო ნებართვა გაეცა ყველანაირი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე საქართველოს ტერიტორიაზე. არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო არქეოლოგიური კომისიის მოთხოვნების შესაბამისად.

გათხრების თარიღი

ადგილ ორჭოსანში არქეოლოგიური გათხრები წარმოებოდა 2004-2005 წლებში.

საველე სამუშაოები BTC/SCP მიღსადენების მხარეს წარიმართა.

მასალის შენახვის ადგილი

IV-323 ძეგლზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და მასთან დაკავშირებული საველე თუ ლაბორატორიული ანგარიშები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში, ახალციხის ექსპედიციის საცავში, უზნაძის 14, 0102 თბილისი, საქართველო ტელ. 995 32 952920

2.0 გარემო პირობები

საკვლევი ტერიტორია ისტორიული სამცხის პროვინციის ნაწილია. იგი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში და მოიცავს მტკვრის ხეობას მუსხიდან აწყურამდე და ფოცხოვის ხეობას ქვაბლიანის შესართავს ქვემოთ. ჩრდილოეთიდან რაიონს საზღვრავს მესხეთის ქედი, სამხრეთიდან – ერუშეთის ქედი.

რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი აგებულია ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვებითა და თიხებით, მცირე ნაწილი (ერუშეთის ქედის კალთები) – ეოცენური ტუფ-ბრექჩიებით, ტუფებითა და ანდეზიტებით. რელიეფი მოიცავს მერიდიანულ ხეობებს, მცირე ქვაბულებს, ვულკანურ მთებს და ტერასებს. ტერასები რამდენიმე საფეხურისგან შედგება და ზღვის დონიდან 1020 მ მდებარეობს.

ხეობებისა და მთაგორიანი ლანდშაფტის გამო ახალციხის რაიონის ჰავა საკმაოდ მკაცრია. ეს უფრო მთის სტეპის ჰავაა. ახასიათებს ცივი მცირე თოვლიანი ზამთარი და ხანგრძლივი ცხელი ზაფხული. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3.8 გრადუსი C-ით, აგვისტოს კი 20.5 გრადუსი C-ით. ამგვარად ტემპერატურის ამპლიტუდა საშუალო 22-24 გრადუსის ფარგლებშია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა დაბლობში 520 მმ-ს არ აღემატება, მთიან ზოლში კი 1200 მმ-დე აღწევს.

ახალციხის რაიონი ძირითადად სუბალპურ ზონაშია მოქცეულია, თუმცა ბარის ზოლიც გამოიყოფა.

რეგიონის ზონალური დარაიონება განაპირობებს მცენარეულ საფარს.

მცენარეული საფარიდან რაიონში გაბატონებულია კლდის ქსეროფიტული ბუჩქები და ნახევარბუჩქები (ლვია, გლერძა, ზღარბა), აგრეთვე ქსეროფიტული მრავალწლიანი ბალახეულობა. მთის ტყის ქვედა ზონაში გავრცელებულია მუხა და რცხილა, ზედა ზონაში – ნაძვი და სოჭი.

ცხოველთა სამყაროდან გვხდება ირემი, შველი, არჩვი, გარეული ლორი, წავი, ჭრელტყავა, ფოცხვერი, გარეული კატა, დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, დედოფალა, კურდღელი, ციყვი, წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი. ბევრია გარეული მტკვეთი, ქედანი, გვრიტი, ყვავი, კაჭაჭი, შოშია, მწყერი. მდინარეში არის კალმახი, წვერა, მურწა, ხრამული.

დაბლობში გხვდებით ყავისფერ და რუხყავისფერ სუსტად გაკულტურებულ ნიადაგს, ტყის ზოლში კი ტყის ყავისფერ ნიადაგს.

წიაღისეული საბადოებიდან ვალეს ქვანახშირის საბადოა აღსანიშნავი.

უკანასკნელ ხანებში ტყის მასივების გაჩეხვამ და ლაფნიჭამიას გაჩენამ დიდი ზიანი მიაუენა გარემოს, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია რეგიონის კლიმატსა და რელიეფზე, მაგალითად გახშირდა მეწყერის ჩამოწოლის შემთხვევები.

2.1 ძეგლის მდებარეობა და აღწერა

ძეგლი ორჯოსანი განვითარებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე, დაახლოებით 80-100 მეტრის სიმაღლის ტერასაზე, აბსოლუტური სიმაღლე – 1000 მ ზღვის დონიდან.

2.2 წარსული გარემო

საქართველოში აღმოჩენილი ოლდუვაისა და ადრეაშელური პერიოდის პალეონტოლოგიური და პალეობოტანიკური მასალის კვლევამ დიდი მნიშვნელობა იქონია საქართველოში მეოთხეული პერიოდის (პლეიისტოცენიდან ადრე პოლოცენის ჩათვლით) ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესის შესასწავლად.

მინდელის ეპოქის დასაწყისამდე (0,6-0,7 მილიონი წლის წინ) დღევანდელი საქრთველოს ტერიტორიაზე იყო ზომიერად თბილი ჰავა და სავანის ტიპის ლანდშაფტი. ჰავის მკეთრ გაუარესებას ადგილი ჰქონდა მინდელის ეპოქის დასაწყისში. ეს მოვლენა საქართველოს ტერიტორიასაც შეეხო, თუმცა მისი სამხრეთული მდებარეობის გამო აციებას არ ჰქონია დიდი მასშტაბი. ამის შემდეგ იწყება მინდელ-რისის თბილი ეპოქა, რომელსაც დედამიწის ისტორიაში ყველაზე დიდი – რისული გამყინვარება ცვლის. რისის გამყინვარებას ენაცვლება რისი-ვიურმის გამყინვარებათა შორისეული თბილი ეპოქა, რომლის ასაკი 120-70 ათასი წლის წინანდელი დროითაა განსაზღვრული.

დაახლოებით 70 ათასი წლის წინ დაიწყო ძლიერი აციება, რამაც განაპირობა ვიურმული გამყინვარებამ დიდი გავლენა მოახდინა ქვის ხანის ადამიანის განსახლებაზე. მკაცრი აცივების გამო ადამიანი ტოვებს საშუალო და მაღალმთიან მხარეებს და მათ მხოლოდ ზაფხულის თბილ სეზონში იყენებს, ძირითადად სანადიროდ. ამ ეპოქაში ადამიანის მუდმივ საცხოვრებლად გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ საქართველოს ბაზო.

ძველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანისაკენ გადასვლა მოხდა ზედაპლეიისტოცენიდან პოლოცენისაკენ გარდამავალ ეტაპზე (დაახლოებით 12 000-10 000 წლის წინ). ამ დროს მკვეთრად შეიცვალა ჰავა, რაც საგრძნობ დათბობაში გამოიხატა.

მეზოლითში ადამიანი კვლავ დაუბრუნდა მაღალმთიან რაიონებს, რომელიც წინა, ვიურმული გამყინვარების დროს მიატოვა. აქედან მოყოლებული ადამიანი საქართველოს ტერიტორიის ყველა ლანდშაფტურ სარტყელს ითვისებს საცხოვრებლად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამყინვარების მოდევნო ხანაში (პოლოცენში) ბუნებრივ გარემოს არსებითი ცვლილებები არ განუცდია (საქართველოს არქეოლოგია 1991).

პლეიისტოცენური ფაუნისა და ფლორის მონაცემებზე დაყრდნობით, გარკვეულ დონემდე შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე პალეოეკოლოგიური სურათის რეკონსტრუქცია. ადრე პლეიისტოცენიდან ადრე პოლოცენამდე კლიმატური პირობები მკვეთრად არ შეცვლილა. ჰავა იყო ზომიერად მშრალი და თბილი (გაბუნია, ვეკუა 1997). აღმოსავლეთ საქართველოს რელიეფი ღრმა ხეობებით დანაწევრებული საშუალო სიმაღლის მთაგორიანი მასივებით ხასიათდებოდა. მცენარეთა ნამარხი

ნაშთების შესწავლით დადგინდა, რომ იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებში ხარობდა თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მოყვარული ჯიშები – მუხა, ტირიფი, ძელქვა, ვერხვი, არყი, თხილი და სხვ. (გაბუნია, ვეგუა, 1978). ნამარხი ძუძუმწოვრების ძვლოვანი მასალის კვლევის შედეგად დადასტურდა ცხოველთა შემდეგი სახეობები: ენოტისებრი ძაღლი, აფთარი, ფოცხვერი, ხმალკბილა ვეფხვი, მაჩვზღარბა, მასტადონიტი, გიგანტური დანამა, მარტორქა, სპილო, გაშლილრქიანი ირემი, შველი, რქაგრეხილი ანტილოპა, ურქო ძროხა, ფრინველებიდან – სირაქლემა და სხვა. (გაბუნია, ვეგუა 1997).

2.3 მიწის გამოყენების ისტორია

გვიან შუასაუკუნეებში ორჭოსანის ტერიტორიაზე სამიწაომოქმედო საქმიანობა მიმდინარეობდა, რაზეც აქ არსებული ტერასები მიგვანიშნებს. ასევე განვითარებული იყო მესაქონლეობა.

მეოცე საუკუნეში ამ ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარის ნაწილები იყო განლაგებული.

ამჟამად ორჭოსანი ერთწლიანი კულტურების სათესად და სათიბად გამოიყენება. რის გამოც ორჭოსნის ნასახლარის ზედა ფენები საკმაოდ დაზიანებულია.

ეროვნია, მეწერიანობა და ნიადაგის გამოფიტვაც თავის მხრივ აზიანებდა ძეგლს.

3.0 კულტურული ფონი

3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

ქვედა პალეოლითი (2 000 000 – 100 000 წლის წინ)

ორგონისანის ტერასა ათვისებული ქვედა პალეოლითიდან ჩანს. ძეგლის სიახლოეს ზედაპირულად შეგროვილი მასალა ანდეზიტისა და ბაზალტისაგან დამზადებულ ხელცულებსა და სახოკებს შეიცავს. აშკარაა, რომ ორგონი და საერთოდ მდინარე ფოცხოვის ხეობა უკვე აშელის პერიოდიდან არის ათვისებული.

ნეოლითი/ენეოლითი (ძვ. წ. 8 000 – 4 000 წლები)

ენეოლითური ნასახლარები ცნობილია ადიგენის რაიონში, აბასთუმანსა და მდინარე ოცხეს მარჯვენა ნაპირზე. ახალციხის რაიონში სოფელ ჭორატთან ახალციხის ექსპედიციის მიერ ორი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლი იქნა დაფიქსირებული. ამ პერიოდის მასალები ორგონისანის ნასახლარზეც კარგად გამოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად. ასევე აღმოჩნდა შემთხვევითი მონაპოვრის სახით ენოლითური კაუის ლამელები და ნამგლის ჩასართები. კაუი სამცხის რეგიონში არ გვხვდება, ქვის ეს ჯიში აქ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან ჩანს შემოტანილი, ნედლეულისა თუ მზა ნაწარმის სახით, რაც მოწმობს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის გარკვეული კავშირების არსებობას. კაუის ნამგლის ჩასართის აღმოჩნა ადასტურებს, რომ ენეოლითიდან მოყოლებული ამ მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დარგს მიწათმოქმედება, კერძოდ მარცვლეულის მოყვანა შეადგენდა.

ბრინჯაო/რკინის ხანა (ძვ. წ. 4 000 800 წლები)

ახალციხის რაიონში გამოვლენილი ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების მიხედვით იმ პერიოდის მოსახლეობა მჭიდროდ დასახლებული ჩანს.

შედარებით ზომიერი მიკროკლიმატი, იარაღისთვის საჭირო ნედლეული, მდიდარი ფლორა და ფაუნა, წყლის რესურსები კარგ პირობებს ქმნიდა ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის განსახლებისთვის.

ამ რეგიონის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებიდან გამოირჩევა ამირანის გორის ნამოსახლარი, რომელმაც გამოავლინა ტერასულად განლაგებული ქვით ნაგები ოთხკუთხა შენობები, თიხატკეპნილი იატაკებით, კერებით, კედელთან ტახტისებური შემაღლებით. იქვე აღმოჩნდა თანადროული სამარვანი, სადაც ორი ტიპის სამარხი, ქვაყუთი და ნალისებრი აკლდამა დადასტურდა.

ნასახლარი მტკვარ-არაქსულ კულტურას განეკუთვნა და მასზე ადრებრინჯაოს ხანის რამდენიმე ქრონოლოგიური ეტაპი გამოიყო (ჩუბინიშვილი 1963).

ორგონისანის ნასახლარის მასალა გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდის მოსახლეობის საქმიანობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად მეთევზეობაც იყო. რასაც ბრინჯაოსა და ძვლის ანკესების მრავალრიცხოვნება და ნაირსახობა და პალეოზოოლოგიური და პალეობოტანიკური კვლევა ადასტურებს.

ისევე როგორც სამხრეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები, ადრებრინჯაოს ხანის მასალებიც მჭიდრო ურთიერთობას

ავლენენ დასავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან და იმავდროულად აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურასთან. სამხრეთ საქართველო (სამცხე-ჯავახეთი) წარმოგვიდგება იმ ზონად, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ურთიერთგავლენას ახდენდნენ აღმოსავლური და დასავლური კულტურები.

მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის ადრეულობანული კულტურა, რომელშიც ორი ეტაპი გამოიყოფა: მარტყოფული და ბედენური. მეცნიერების გარკვეული ჯგუფი ადრეულობანულ კულტურას ადრებრინჯაოს ხნას მიაკუთვნებს, ნაწილი კი – შუაბრინჯაოს.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში სწრაფად მიმდინარეობს სამხრეთქართველური ტომების კონსოლიდაციის პროცესი, რომლის გამოხატულებაც იყო მონათესავე ტომების არეალში ვრცელი ტერიტორიის მომცველი ერთგვაროვანი კულტურის ჩამოყალიბება. დასავლეთ საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანაში ვითარდება კოლხური კულტურა. ძვ წ XIII-XII საუკუნეებში მათ საფუძველზე შეიქმნა დიდი წინასახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დიაოხი (ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარე, ახლა თურქეთშია) და კოლხა (დასავლეთ საქართველო).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ძვ. წ. XIV-VIIIსს) ძეგლი მდებარეობს სოფელ ორქოსანთან. ძვ. წ. XI-X საუკუნეების განძი აღმოჩენილია სოფელ უდეში, რომელსაც ბრინჯაოს და რკინის სატევრები, შუბისპირები, კოლხური ცული და სამკაული შეადგენს.

რკინის ხანა/კლასიკური პერიოდი (ძვ. წ. 800 – 500 წლები)

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაოს დამუშავებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია ეკონომიკის განვითარებაში და საზოგადოების ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ საქართველოში რკინის წარმოების უძველესი კერა იყო რკინის მადნებით მდიდარი ქვემო ქართლი. რკინის ხანის ძეგლები გამოვლენილია წალკისა და ბორჯომის რაიონებშიც.

დასავლეთ საქართველოში რკინის წარმოების ცენტრები დადასტურებულია როგორც შავიზღვისპირეთში, ისე შიდა რეგიონებში, საიდანაც ფართოდ ხდებოდა რკინის მადნის ექსპორტირება ბერძნულ პოლისებში.

სამცხის რეგიონის ამ პერიოდის ძეგლებზე კოლხური ინვენტარია გაბატონებული და ეს მხარე კოლხური (დასავლეთ საქართველო) კულტურის გავრცელების არეალში უქცევა.

კლასიკური/ელინისტური ხანა (ძვწ. 500 – 65 წლები)

აღმოსავლეთ საქართველო ამ პერიოდში აქმენიდური სპარსეთის ძლიერი პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გავლენას ადასტურებს ახალგორის განძი და ციხიაგორაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. ამავე დროს მიმდინარეობდა ცალკეულ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი, რომელშიც წამყვანი როლი მესხურ ტომებს ეკუთვნოდათ.

ამ პერიოდთან ასოცირდება მტკვრის ხეობაში სამცხის პირველი ქალაქები ოძრხე, წუნდა, თმოგვი. ჭორატის ნასახლარზეც ჩნდება კლასიკური ხანის არქეოლოგიური მასალა.

ელინისტურ ხანაში საქართველოზე გადიოდა ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში ვრცელდებოდა ბერძნული საქონელი (კერამიკა, ტორევტიკა, გლიპტიკა და სხვა). დაინერგა ელინისტური სამონეტო სისტემა: კოლხეთში ჭრიდნენ ლისიმაქეს, ხოლო იბერიაში ალექსანდრეს სტატერების ოქროს მინაბაძებს.

ელინისტურ ხანაში აღინიშნება ურბანიზაციის პროცესის გაძლიერება და ქალაქების დაწინაურება. ფართოდ ვრცელდება ელინისტური სამშენებლო წესები. ელინისტური გავლენა დაეტყო ხელოსნობის ზოგიერთ დარგსაც – მაგალითად, საფეიქრო წარმოებაში დაინერგა ვერტიკალური საქსოვი დაზგა. გავრცელდა ბერძნულ-ელინისტური რელიგიური კულტები (განსაკუთრებით ფართოდ – დიონისესი). და რწმენა-წარმოდგენები, რაც დაკრძალვის წესებშიც აისახა – მაგალითად, სამარხში მონეტის ჩატანება. ამ პერიოდს ემთხვევა სამცხის რეგიონში აწყურის დაწინაურება და რეგიონის ურბანულ ცენტრად ქცევა.

ელინისტური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია წნისის სამაროვანი. ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია, მაგრამ ელინისტურ სამყაროსთან პოლიტიკურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და კულტურულმა კონტაქტებმა ქვეყნის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია.

ელინისტურ ხანაში საქართველოზე გადიოდა ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში ვრცელდებოდა ბერძნული საქონელი (კერამიკა, ტორევტიკა, გლიპტიკა და სხვა). დაინერგა ელინისტური სამონეტო სისტემა: კოლხეთში ჭრიდნენ ლისიმაქეს, ხოლო იბერიაში ალექსანდრეს სტატერების ოქროს მინაბაძებს.

ელინისტურ ხანაში აღინიშნება ურბანიზაციის პროცესის გაძლიერება და ქალაქების დაწინაურება. ამ პერიოდს ემთხვევა იბერიის დედაქალაქ მცხეთისა და კოლხეთის მთავარი სატაძრო ქალაქის – ვანის აღმავლობა. ფართოდ გავრცელდა ელინისტური სამშენებლო წესები. ელინისტური გავლენა დაეტყო ხელოსნობის ზოგიერთ დარგსაც – მაგალითად, საფეიქრო წარმოებაში დაინერგა ვერტიკალური საქსოვი დაზგა.

გავრცელდა ბერძნულ-ელინისტური რელიგიური კულტები (განსაკუთრებით ფართოდ – დიონისესი). და რწმენა-წარმოდგენები, რაც დაკრძალვის წესებშიც აისახა – მაგალითად, სამარხში მონეტის ჩატანება ქარონისათვის მისაცემად.

ამ პერიოდზე ემთხვევა აწყურის დაწინაურება და რეგიონის ურბანულ ცენტრად ქცევა. აწყურის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია ქვის არქიტექტურა, რომელშიც დაგეგმარების მიხედვით ორი ტიპის შენობები გამოიყოფა: წრიული და ოთხკუთხა. ფუნქციის მიხედვით გამიჯნულია საცხოვრებელი და საკულტო ძეგლები. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა დაწინაურებული საქალაქო ცხოვრების მანიშნებელია. აქ კონცენტრირებულია სამხრეთ კავკასიის შიდა რაიონებისათვის უნიკალური ბერძნული იმპორტის კოლექცია, რომელშიც თავმოყრილია არქაული, კლასიკური და ელინისტური ხანის კერამიკული

ნაწარმი (ძვ. წ. VI-II საუკუნეები). სამარხეული მასალით დასტურდება, რომ უკვე ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან აწყური ის დასახლებაა, სადაც რეგიონის მმართველი ფენა ცხოვრობს, რომელიც სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებულია.

აწყურის ნაქალაქარის გათხრებით მოპოვებულ მასალას ანალოგიები ეძებება ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე (ციხია-გორა, სამდლო, უფლისციებე და სხვა).

რომაული პერიოდი

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერებას იწყებს ქართლის სამეფო. იგი აფართოებს თავისი გავლენის სფეროს ძირითადად სამხრეთის მიმართულებით. ამდენად სუსტდება კოლხური კულტურის გავლენა და სამცხის ტერიტორია ექცევა იბერიის სამეფოს არეალში. არქეოლოგიური მონაცემები ზუსტად ასახავს ამ პროცესს. ორქოსანისა და ჭორატში გათხრილი სამარხები და იქ მოპოვებული მასალა ანალოგებს აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებსა და ნივთებთან პოულობს (მცხეთა, აღაიანი).

სტატისტიკური ანალიზი გვიჩვნებს, რომ ამ პერიოდში სამცხის მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხვანია და მჭიდროდაა დასახლებული. აშკარად შეინიშნება მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია.

ადრეული შუა საუკუნეები (IV – X საუკუნეები)

საქართველოში შუა საუკუნეების პერიოდის დასაწყისად მიღებულია ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის წელი – 326 ან 337. ქრისტიანობის დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში უკავშირდება წმ. ნინოს.

V-VI საუკუნეებში საქართველოში თავისი გავლენის დასამყარებლად იბრძოდენ ბიზანტიის იმპერია და სასანიდური ირანი.

627 წელს ქართლზე ილაშქრა ბიზანტიის იმპერატორმა პერაკლემ „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მან აქ რამდენიმე ეკლესია ააშენა და მათ შორის აწყურის კათედრალიც. წმ. გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით ამ მხარეში გაშლილ დიდ სამონასტრო მოძრაობას კულტურის მძლავრი განვითარება მოჰყვა.

X საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისში აღინიშნება არქიტექტურისა და ხელოვნების არაჩვეულებრივი აღმავლობა. ამ პერიოდის შესანიშნავი ძეგლია აწყურის კათედრალი – ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. კათედრალმა ნანგრევების სახით მოატანა ჩვენს დრომდე. მის ტერიტორიაზე გაითხარა ორი უფრო ადრინდელი ნაგებობა: მცირე ეკლესია და მონუმენტური კარიბჭე. ეკლესიის შუაში, იატაკში ჩასმული იყო თოკისებური სარტყელებით ორნამენტირებული ქვევრი. ასეთივე ქვევრები გამოვლინდა ეკლესიაზე აღმოსავლეთიდან მიშენებულ მარანში. მათ მიხედვით ეკლესია შეიძლება ადრეული შუა საუკუნეებით დათარიდდეს.

ტაძართან ახლოს, მტკვრის პირას მდებარეობს აწყურის ციხე, რომელიც წერილობით წყაროებში XI საუკუნეში მოიხსენიება, თუმცა ბევრად ადრე უნდა იყოს დაარსებული.

ადრეული შუასაუკუნეების ორი ძეგლი იქნა შესწავლილი ახალციხის ექსპედიციის მიერ, ორქოსანი და ჭორატი. ჭორატი პატარა, სოფლის ტიპის

დასახლება უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა, რომ ამ დასახლებას საკუთარი X საუკუნის ეკლესიაც ჰქონია, რომელიც ნასახლარიდან 1,5 კმ მოშორებით მდებარეობდა და XV საუკუნემდე რამდენჯერმე გადაკეთდა და აღსდგა.

განვითარებული შუა საუკუნეები (XI – XV საუკუნეები)

დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკთა განადგურების შემდგომ სამცხის ტერიტორია კულტურულ-ეკონომიკურ სიძლიერეს აღწევს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ორქოსანის ნასახლარის მიმდებარე ტერიტორია, სადაც 0.5 კმ. რადიუსში 4 ეკლესია, ციხე-სიმაგრე, სათვალთვალო კოშკი და სამეურნეო ნაგებობებია გამოვლენილი. ეს არის განვითარებული შუა საუკუნეების ხანის მძლავრი დასახლების ერთი მთლიანი სისტემა, რომლის სავარაუდო ფართობი 5 ჰექტარს მაიც აღწევს. ძნელია მთელი ამ კომპლექსის დათარიღება. მონაბოვარი მასალა, კერამიკული ნაწარმი, რკინის ლურსმნები და ნალები, დანისპირები კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. ერთადერთი ნივთი რუსულან დედოფლისეული მონეტა, რომელიც 1227 წ. არის მოჭრილი და მიმოქცევაში 1246 წლამდე იყო გამოდგება დასათარიღებლად.

გვიანი შუა საუკუნეები (XVI – XVIII საუკუნეები)

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოში დრმა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კრიზისის პერიოდია. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა გარეშე მტრებს ვერ უმკლავდებოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (სამცხე-სათაბაგო) ოსმალეთმა 1570-იან წლებში პირდაპირ მიიერთა. 1628 წელს აქ ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა. დაიწყო ქრისტიანი მესხი მოსახლეობის შევიწროვება და გამაპმადიანება. ამ პერიოდს უნდა ემთხვეოდეს ორქოსანის ნასახლარის განადგურებაც.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში სამცხე კვლავ მჭიდროდ ჩანს დასახლებული. ამას მოწმობს მილსადენის 201-ე კმ-ზე ტაძრისთან გამოვლენილი XVII-XVIII საუკუნეების ნასახლარის ნაწილი (რამიშვილი, მინდორაშვილი 2005).

ახალი დრო (XIX –XX საუკუნეები)

XIX საუკუნის შუა ხანებამდე სამცხის ტერიტორიაზე ძირითადად გამაპმადიანებული ქართველი მოსახლეობაა დასახლებული. XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-თურქეთის ომისა და XX საუკუნის დასაწყისის გენოციდის შედეგად სამცხის მოსახლეობას სომეხი ლტოლვილებიც დაემატა და რეგიონის დემოგრაფიული სურათი მკვეთრად შეიცვალა.

1941-45 წწ. საომარი სიტუაციიდან გამომდინარე, აღგილობრივი გამაპმადიანებული მესხი მოსახლეობა გადასახლებულ იქნა შუა აზიაში, რაც განპირობებული იყო თურქული ორიენტაციის არსებობით. XX ს. 90-იან წლებიდან დაიწყო მოთხოვნები ამ მოსახლეობის დაბრუნების შესახებ.

ორქოსანის ნასახლარზე სამუშაოების წარმოების დროს აღმოჩნდა მაპმადიანი მესხების სამაროვანი, რომელიც თითქმის დაემთხვა აღრეშუასაუკუნეების ხანის სამაროვნის საზღვრებს. სამარხთა ნაწილი მოექცა მილსადენის ტრასაში და დაემუქრა სრული განადგურება. ექსპედიცია იძულებული შეიქმნა გაეთხარა 40-ზე მეტი სამარხი და

მიცვალებულთა ძვლები კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
გადაესვენებინა იქვე, უსაფრთხო ტერიტორიაზე.

3.2 წარსულში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის მიმოხილვა
ორგონის ნასახლარისა და სამაროვნის ერთი კილომეტრის რადიუსში
არქეოლოგიური ძეგლები არ არის იდენტიფიცირებული.

4.0 მეთოდოლოგია

4.1 საგელე მეთოდები

გათხრების დაწყებამდე ნასახლარის ტერიტორია აიგეგმა და ინსტრუმენტალურად შედგა ტოპოგრაფიული რუკა, რომელზეც დატანილ იქნა პირობითი ნულოვანი წერტილი. ნულოვანი წერტილი საკვლევ ტერიტორიაზე იქნა აღებული. ძეგლი დაკვადრატდა 10 მ X 10 მ ზომის კვადრატებად. ზოგიერთი მონაკვეთი, საჭიროების მიხედვით, უფრო მცირე 2 მ X 2მ, 4 მ X 4 მ ან 6 მ X 6 მ დანაყოფებად. ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე ლათინური ასოები დაეწერა., აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე კი ციფრები.

ძეგლის გავრცელების არეალის დასადგენად საკვლევ უბანზე საცდელი თხრილი კეთდებოდა.

არქეოლოგიური გათხრები ძირითადად ხელით იწარმოებოდა, ბარის, ნიჩაბის, წერაქვის, დანის, ლანცეტისა და ფუნჯის საშუალებით. პუმუსოვანი და ნაყარი მიწის მოხსნა მოხდა მძიმე ტექნიკის დახმარებით.

არტეფაქტები ძირითადად კულტურული ფენებიდან იქნა მოპოვებული. მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა შემთხვევით მონაპოვარს.

არტეფაქტებს ველზე უკეთდებოდა ეტიკეტი კვადრატის, სიღრმის და ფენის აღნიშვნით. თითოეული მათგანი ცალცალკე შეიფუთა და ჩალაგდა პოლიეთილენის პარკში და შემდეგ მუჟაოს ყუთში.

ყველა მოპოვებული არტეფაქტი წაღებული იქნა ველიდან ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

გათხრების სხვადასხვა ეტაპზე ხდებოდა ძეგლისა და მისი ყველა კომპონენტის ჩახატვა და ფოტო ფიქსაცია.

ძეგლზე შეგროვდა ანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, პალეობორგანიკური და პალინოლოგიური მასალა, რომელიც შესასწავლად გადაეცათ შესაბამის სპეციალისტებს. დაწვრილებითი ინფორმაცია მათი კვლევის მეთოდების შესახებ იხილეთ დართულ ინტერდისციპლინარულ ანგარიშებში.

4. 2 ლაბორატორიული მეთოდები

არტეფაქტები დაჯგუფდა მასალის მიხედვით. თიხის არტეფაქტები ფუნჯით გაიწმინდა და გაირეცხა მარილმჟავას ხსნარით გაზავებულ წყალში. რის შემდეგადაც ჩატარდა მათი სტილისტური და ტიპოლოგიური ანალიზი. ყველა არტეფაქტი დაინომრა, აღიწერა და გატარდა კატალოგში, გაუკეთდა ეტიკეტი და მოთავსდა პოლიეთილენის პარკში. გადათეთრდა საველე დოკუმენტაცია.

ჩატარდა პალეოანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, პალეობორგანიკური, პალინოლოგიური და ლითონის ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორიული სამუშაოები, რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა ლითონისა და კერამიკის ნივთების ნაწილს. ანალიზის მეთოდები დეტალურად აღწერილია დართულ ინტერდისციპლინარულ ანგარიშებში.

საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოთარ ლორთქიფანდის არქეოლოგიის ცენტრში.

5.0 შედეგები

5.1 ძირითადი მონაცემების მიმოხილვა

ორჭოსანის ნასახლარი და სამაროვანი 4 - A, B, C, D ნაკვეთად დაიყო (ტაბულა III).

მოპოვებული მასალა დაიყო ფუნქციის მიხედვით საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, საბრძოლო, საკულტო და სამკაულად.

სტატიგრაფია მთელ ნასახლარზე ერთგვაროვანია. 0.2 მ ნიადაგის ქვეშ მდებარეობს 1-1.2 მ ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების I კულტურული ფენა. მის ქვეშ ადრებრინჯაოს ხანის 1.2-1.5 მ II კულტურული ფენაა. ზოგიერთ მონაკვეთში ადრებრინჯაოს ფენები ჩაჭრილია ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების და თანამედროვე სამარხებით.

სულ გაითხარა 58 სამარხი, 29 სამეურნეო ორმო, ძირითადად ადრებრინჯაოს ხანის, ორი მტკვარ-არაქსული ნაგებობა, ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ხანის საფორტიფიკაციო, საკულტო და საცხოვრებელ ნაგებობათა კედლები.

ძეგლზე შეგროვდა ოსტეოლოგიური და პალეობოტანიკური მასალა ანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური და პალეობოტანიკური კლვევებისათვის.

5.2 ძეგლები

ნაკვეთ A-ზე გაკეთდა ორი თხრილი, რომელთა ზომები 6 მ X 4 მ და 77.5 მ X 4 მ იყო. მათი მაქსიმალური სიღრმე ნულოვანი წერტილიდან 4 – 4.5 მეტრს უდრიდა. თხრილები სამხრეთ-დასავლეთით იყო დამხრობილი. სულ შესწავლილ იქნა 344 მ² ფართობი (ტაბ. IV). სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოიყო შუასაუკუნეების ხანის ორი ქვის კედლი, ქვის სამი რკალი, ოთხი უინგენტარო ორმოსამარხი, რომელშიც ხუთი მიცვალებული იყო დაკრძალული, ადრებრინჯაოს ხანის სათავსოს ნაშთები და ხუთი სამეურნეო ორმო.

მეორე თხრილის ცენტრალურ ნაწილში ნულოვანი წერტილიდან 0.3-0.4 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა ქვით ნაგები ორი კედლები. მათი სიგრძე 10.3 – 11 მეტრამდე მერყეობდა, სიგანე 1.3 – 1.7 მეტრამდე, ხოლო სიმაღლე 0.6 – 0.7 მეტრამდე. კედლები ერთმანეთისგან 8.5 მეტრით იყო დაშორებული. ისინი მშრალი პირითი წყობით იყო ნაგები. გარე პირითი წყობა დიდი და საშუალო ზომის ქვებისგან შედგებოდა, ხოლო შიდა პირითი წყობა მიწითა და მცირე ზომის ქვებით. კედლები დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე მდებარეობდა.

ქვის რკალები დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე მდებარეობდა. მათი სიგრძე 4.3 მეტრიდან 6.4 მეტრამდე მერყეობდა, სიგანე 0.6 მეტრიდან 2.1 მეტრამდე, ხოლო სიმაღლე 0.6 მეტრი იყო. რკალები მშრალი პირითი წყობით ხასიათდებოდა. გარე პირითი (facing of the wall) დიდი და საშუალო ზომის, დაუმუშავებელი ქვებისაგან შედგებოდა, ხოლო შიდა პირითი წყობა (core of the wall) მიწითა და მცირე ზომის ქვებით. მათი გავრცელების არეალის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან როგორც დასავლეთით ასევე აღმოსავლეთით რკალები გათხრებისათვის

განკუთვნილი ტერიტორიის გარეთ ვრცელდებოდა. გრაფიკული რეკონსტრუქციის შედეგად გამოვლინდა, რომ რკალებს შესაძლოა საერთო ცენტრი ჰქონოდათ.

ნულოვანი წერტილიდან 2.8 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ოთხი უინვენტარო ორგონიკი, რომელთა ზომები 0.4 მ X 1.4 მ X 0.4 მ იყო. მიცვალებულები გაშოტილ პოზაში, მუცელზე ხელ დაკრეფილი იყო დაკრძალული. სამარხის შიდა კედლებზე ხის ნაშთები იყო შემორჩენილი. სამრხები ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე იყო გამართული.

მეორე თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით გავლებულ ტრანშეაში დაფიქსირდა ადრებრინჯაოს სათავსოს ნაშთები.

შემორჩენილი იყო ნაგებობის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი კედელი, რომელიც საშუალო ზომის რიყის ქვებისგან იყო აშენებული და დასავლეთის მხრიდან კლდოვან ქანს ებჯინებოდა. მისი ზომები იყო სიგრძე 2.5 მ, სიგანე 0.5 მ და სიმაღლე 0.4 მ.

ნულოვანი წერტილიდან 0.8 მეტრის და 1.5 მ სიღრმეზე დაფიქსირდა შუასაუკუნეებისა და ადრებრინჯაოს ხანის თიხატეპნილი იატაკი.

ასევე გამოვლინდა სამეურნეო დანიშნულების მქონე ხუთი ორმო. ზოგ მათგანს ქვაყრილი ფარავდა, ზოგს არა. ორმოებს ოვალური პირი, ბრტყელი ძირი და ზოგჯერ ქვემოთკენ შევიწროებული ფორმა ჰქონდათ. მათი დიამეტრი 0.5 მეტრიდან 1.7 მეტრამდე მერყეობდა, სიღრმე კი 0.3 მეტრიდან 0.65 მეტრამდე. ოთხი მათგანი სათავსოში აღმოჩნდა, ხოლო ერთი №1 თხრილში.

ნაკვეთ B1

(ტაბ. XII-XV; XXVIII; XXXII)

B1 ნაკვეთზე შესწავლილ იქნა 85 მ. სიგრძისა და 1 მ-ის სიგანის ფართობი (ტაბ. V).

სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა:

XIX-XX სს-ის მაკმადიანი მესხების სამარხები,

ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლარი,

ადრე შუასაუკუნეების სამარხები

რომაული ხანის სამარხები

ადრებრინჯაოს პერიოდის ორმოები.

სამაროვნი მოიცავდა მთლიანად გათხრილ ფართობს და ასევე ვრცელდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 50 მ-ის სიგანეზე. სიგრძეზე მისი გავრცელების დადგენა ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ფართობზე, ნულოვანი წერტილიდან 0.05 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა მაკმადიანი მესხების სამარხები, რომელთა ერთი ნაწილი, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით გადასვენებულ იქნა. ექვსი სამარხი კი ხელუხლებული დარჩა იგივე ადგილზე.

0.95 მ -1.2 მეტრის სიღრმეზე რომაული - ადრე შუასაუკუნეების პერიოდის 33 ორგონიკი გამოვლინდა. ორგონიკები ოვალური ფორმისა იყო. ზოგიერთი სამარხი ხის ფიცრებით იყო გადახურული (№3, 4, 6, 7, 16, 23, 26). მათი ზომები 0.65 მ X 1.7 მ და 1.5 მ X 1.6 მ შორის მერყეობდა.

მიცვალებულები ძირითადად გულალმა, გაშოტილ პოზაში იყო დასვენებული. იშვიათად მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე.

სამარხებს განსხვავებული ორიენტაცია ჰქონდათ. მაგალითად ზოგი სამხრეთით იყო ორიენტირებული (სამარხი №1, 2), ზოგი დასავლეთით (№14, 15, 19, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31), ზოგი სამხრეთ დასავლეთით (№17), ზოგი ჩრდილო-დასავლეთით (№27, 32, 33), ზოგიერთის ორიენტაცია კი არ ფიქსირდება (№3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 90, 11, 12, 13, 16, 18, 20, 21). ამ სამარხებს შორის მხოლოდ ექვსში აღმოჩნდა არტეფაქტები.

სამაროვნის ტერიტორიაზე ადრე შუასაუკუნეების კულტურული ფენა გამოვლინდა, რომელიც კერამიკას შეიცვადა.

ასევე გამოვლინდა ორი სამეურნეო ორმო. ორმო №1 1.2 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა და მისი ზომები იყო 1.5 მ X 1 მ. ორმო №2 1 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. მისი ზომები კი 1.8 მ X 1. 5 მ შეადგენდა. ორივე მათგანი მომრგვალებული ფორმის, სწორკედლიანი და ძირისკენ შევიწროვებული იყო.

ნაკვეთი B გაზსადენის მხარეს (SCP)

Horizontal Drilling Trust Pit

თხრილი № 1, რომლის ზომა იყო 10 მ X 24 მ, ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე გაკეთდა (ტაბ. VI). შესწავლილ იქნა 240 მ² ტერიტორია. სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა შუა საუკუნეების ხანის კედლის ნაშთი, რომელიც თხრილის სამხრეთ კედელში ზემოდან ედო ადრებრინჯაოს კერამიკის შეცველ ფენას.

ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე მდებარე 1 მეტრის სიგანისა და 2 მეტრის სიგრძის შუა საუკუნეების ხანის კედელი წვრილი ქვებით და თიხის ხსნარით იყო ნაგები. აქვე აღმოჩნდა 1227 წ. მოჭრილი რუსულანის მონეტა, რომელიც ზუსტად ათარიღებს ძეგლს.

დედაქანის დონეზე 0.4 მეტრი სიმაღლის ადრებრინჯაოს ხანის ქვაყრილი დაფიქსირდა.

გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის ხუთი ორმო, რომელთა დიამეტრი მერყეობდა 0.6 მ-დან 1.7 მ-დე, სიღრმე კი 0.5 მ -1 .6 მ. ორმოებს მეტნაკლებად სწორი კედლები და ძირი ჰქონდა.

C ნაკვეთი

ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გავლებული იქნა 6 მეტრის სიგანისა და 24 მეტრის სიგრძის თხრილი №2 (ტაბ. VII, VIII). შესწავლილ იქნა 144 კვ. მეტრი ფართობი, სადაც სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა ადრე შუასაუკუნეების ხანის ნაგებობის ქვის კედლის ფრაგმენტი, რომაული ხანის და ადრე და გვიანშუასაუკუნეების 20 ორმოსამარხი, სამი სამეურნეო ორმო, ერთი ნაცროვანი კერა და ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ნამოსახლარის ნაშთები.

ორმოსამარხები 48 მ² ფართობზე გამოვლინდა. სამაროვნის ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გათხრებისათვის ლიმიტირებულ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

რომელსაც ზემოდან ფარავდა XIX და XX სს. მაკმადიანი მესხების სასაფლაო.

შესწავლით იქნა ოვალური, წრიული და მართკუთხა ფორმის სამარხები, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით (7, 8, 9, 10, 12, 14, 16, 17, 18, 20), ჩრდილო-აღმოსავლეთით (2, 4, 5) და ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (1, 3, 6, 11, 13, 15) იყო ორიენტირებული.

სამარხების ხის ძელებით იყო გადახურული და ზოგიერთი მათგანის შიდა კედლებზე ხის ნაშთები იყო შემორჩენილი.

სამარხების ზომები მერყეობდა სიგრძე 0.7 მ-დან – 2 მ-დე, სიდრმე 0.3 მ - 0.4 მ, სიგანე 0.4 მ – 0.9 მ. მიცვალებულები დაკრძალული იყო

მარჯვენა გვერდზე, მოხრილები (№2, 5, 6, 7, 8, 20) და ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში (4, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 19).

გამოვლინდა კლდოვან ქანზე გამართული ადრე შუასაუკუნეების ხანის ნაგებობის კედელი, რომელიც კლდის ფლეთილი ქვით იყო ნაგები (სიგრძე 3 მეტრი, სიგანე 1 მეტრი). ორიენტირებული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. შენობა, რომელიც სავარაუდოდ ოთხკუთხა ფორმის უნდა ყოფილიყო, მშრალი წყობით იყო ნაგები.

გაითხარა სამი ორმო, აქედან ერთი ქვაყრილით იყო დაფარული (№2 ორმო). გამართული იყო კლდოვან გრუნტში, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ორმოებს წრიული ფორმა ჰქონდა, სწორი კედლები, მომრგვალებული ან ბრტყელი ძირი. მათი ზომები მერყეობდა სიგრძე 1.5 მ-დან 1.72 მ-დე, სიგანე 1.2 მ. – 1.6 მ-დე სიგრძე 0.7 მ -1 მ.

ადრე შუასაუკუნეების ხანის №2 ორმოს ჩაჭრილი ჰქონდა რომაული ხანის სამარხი №6.

ორმოები სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

გაითხარა ქვაყრილიანი, წრიული ფორმის, 1.25 მ დიამეტრისა და 0.5 მ სიღრმის ნაცროვანი კერა, ვერტიკალური კედლითა და შევიწროებული მოყვითალო ფერის კირქვოვანი ფსკერით. დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე გამართული.

D ნაკვეთი

გაზსადენი (SCP)

სამხრეთ-დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე გავლებულ იქნა 4 მ სიგრძის 1 მ-ის სიგანისა და 0.5 მ – 1.8 მ სიღრმის ზომის 16 საცდელი თხრილი. სულ დაიზვერა 160 მ. სიგრძის ტერიტორია. დადგინდა ძეგლის ხასიათი, სტრატიგრაფია და გავრცელების არეალი (ტაბ. IX). სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა შუა საუკუნეების ქვის კედლები, რომლის ქვეშაც აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები მდებარეობდა (ტაბ. IX-X).

D თხრილში გამოვლინდა მოყვითალო ფერის უძრავ ფენაში ჩაჭრილი ოვალური ფორმის ორმოსამარხის ნაშთი, რომლის ზომები იყო 1 მ X 1 მ. მიცვალებულის თავის ქალის მიხედვით სამარხი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო ორიენტირებული. შიდა კედლებზე ხის ნაშთები იყო შემორჩენილი. სამარხში არტეფაქტები არ აღმოჩენილა. სავარაუდო სამარხი გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება.

DA ნაკვეთში 0 წერტილიდან 0.4 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა სამი პარალელური კედელი. კედლები საშუალო და დიდი ზომის რიყის ქვით,

მშრალი წევბით იყო ნაგები. კედლები დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო გამართული.

ისინი ერთმანეთისგან 1.2 მ – 1.7 მეტრით იყო დაშორებული. კედლების ზომები შეადგენდა სიგრძე 4 მ, სიგანე 1 მ – 2 მ. კედლების შიდა პირითი წევბა მიწით და პატარა ქვებით შედგებოდა. კედლები დასავლეთის მიმართულებით გაუთხრელ ფართობში ვრცელდებოდა, რაც კარგად აისახება აეროფოტოზე.

DB თხრილში აღმოჩნდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე გამართული ორი პარალელური, დიდი და საშუალო ზომის რიყის ქვებით, მშრალი წევბით ნაგები კედელი. კედელი №1 ზომები იყო სიგრძე 8.5 მ, სიგანე 1 მ – 1.2 მ., ხოლო კედელი №2 სიგრძე 20 მ, სიგანე 1 მ. კედლები სხვადასხვა დონეზე მდებარეობდა. ისინი ერთმანეთისაგან წვრილი ქვების ფენით გამოიყოფოდა. ქვედა დონის კედელი ადრებრინჯაოს ხანის ფენას ებჯინებოდა.

DB თხრილში 0 წერტილიდან 2 მ. სიღრმეზე დაფიქსირდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე გამართული ადრებრინჯაოს ხანის 2 სათავსოს ნაშთი. სათავსოს კედლები ერთმანეთისაგან 7.8 მ იყო დაშორებული.

კედლები საშუალო ზომის რიყის ქვით, მშრალი პირითი წევბით იყო ნაგები. მათი ზომები იყო სიგრძე 2.6 მ, სიგანე 0.3 მ – 0.6 მ. სავარაუდო ორივე სათავსო ოთხკუთხა ფორმის უნდა ყოფილიყო (ტაბ. X 2). ისინი დასავლეთით, გათხრებისათვის ლიმიტირებულ ფართობზე ვრცელდებოდა. 0 წერტილიდან 1.4 მ – 1.8 მ. სიღრმეზე ადრებრინჯაოს ხანის ფენაში გაითხარა არტეფაქტების შემცველი 18 სამეურნეო ორმო (17 ორმო გამოვლინდა B თხრილში, ერთი კი A თხრილში). მათ ერთნაირი ფორმა ჰქონდათ. ჭრიული პირი, ვერტიკალურად ან დამრეცად ჩაჭრილი კედლები და ბრტყელი ან მომრგვალებული ძირი. ორმოების დიამეტრიც 0.80 – 3.4 მეტრს შორის მერყეობდა, სიღრმე კი 0.32 მ - 1 მ. შორის. ზოგი ორმო ქვაყრილიანი იყო (5, 16, 17).

5.3 არტეფაქტები

5.3 არტეფაქტები

ორგოსანის ნასახლარის A ნაკვეთში გამოვლენილი არტეფაქტები (ტაბ. XI) 4 ჯგუფად იყოფა: კერამიკა, ქვა, ლითონი, ძვლოვანი მასალა. თითოეული ჯგუფი ორი პერიოდით – ადრე შუასაუკუნეებითა და ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება.

კერამიკა A ნაკვეთში ყველაზე დიდი ოროდენობით არის წარმოდგენილი – 418 ერთეული. აქედან ადრე შუასაუკუნეებს განეკუთვნება 295, ადრებრინჯაოს ხანას 123 ერთეული. კერამიკულ ნაწარმში ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქვევრი, რომელიც დაახლოებით 500-600 ლიტრს იტევდა. ისინი რელიეფური სარტყლებით არის შემკული. ამ ტიპის ქვევრები ძირითადად ადრე შუასაუკუნეებს (ახ. წ. IV-VIII სს.) განეკუთვნება. სულ 7 ქვევრია აღმოჩნილი.

ყველაზე მრავალრიცხოვანია დერგები (11 ც.), რომლებიც იმავე პერიოდისაა ტიპოლოგიურად იმეორებენ ქვევრების ფორმებს, კეცს და ფერს. ორნამენტული სარტყლების გარეშე. მათი მოცულობა 50-100 ლ. შორის მერყეობს (გრაფიკული რეკონსტრუქციით).

აშს-ს კერამიკის ტიპიურ ფორმას წარმოადგენს მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ზოგჯერ გაპრიალებული ხელადის (1-1,5 ლ. მოცულობა) ფორმის ჭურჭელი. ხელადის ეს ტიპი ძირითადად ახ. წ. IV-VI სს. არის ტიპიური, თუმცა გვხვდება ახ. წ. VII ს-შიც.

როგორც ჩანს, ამავე პერიოდს მიეკუთვნება ორი დოქიც, რომელიც ზუსტად იმეორებს ზემოთაღნიშნულ ხელადების ფორმას, კეცს, ზედაპირის დამუშავებას. მათ შორის განსხვავება, მხოლოდ მოცულობასა (3ლ ზემოთ) და სარტყლის არსებობაშია. ორივე ეს ფორმა სითხის გადმოსასხმელად არის გამოყენებული.

ამავე პერიოდს შესაძლოა მიეკუთვნოს ქოთნების ტიპი (5 ერთეული). ჩვეულებრივ ეს ტიპი სამზარეულო ჭურჭლის სახედ არის მიჩნეული.

ამავე პერიოდისა 2 პატარა ლანგარი. აღმოჩენის ვითარება მიგვითოთებს, რომ როგორც ჩანს ჭურჭლის ეს ფორმა აგრძელებს არსებობას მთელი აშს-ს ხანის განმავლობაში.

ადრებრინჯაოს ხანის ფენაში კერამიკის 103 ერთეულია წარმოდგენილი. მათ შორის გამოიყოფა შემდეგი ფორმები: პიონი, ქოთანი, დოქი, ქილა, სასმისი, ჯამი.

ამ ჯგუფის კერამიკისთვის დამახასიათებელია შავპრიალა ზედაპირიანი, ვარდისფერ სარჩულიანი ჭურჭელი. ისინი დამზადებულია წმინდა თიხისგან წვრილმარცვლოვანი მინარევით.

პიონი ერთ-ერთი ყველაზე ტიპიური ფორმაა მტკვარ-არაქსის კულტურისთვის. საერთოდ ამ ტიპის ჭურჭლი სანოვაგის შესანახად არის განკუთვნილი. მისი სიმაღლე საშუალოდ 0,60-0,65 მ-ია.

მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ყველაზე ტიპურ ფორმად ჯამები ითვლება. რესტავრაციის შედეგად აღსდგა 2 ჭურჭლი.

დოქი ამ პერიოდში საკმაოდ იშვიათია. A ნაკვეთში ამ ფორმის 3 ჭურჭლია ნაპოვნი. განკუთვნება სითხის შესანახ ჭურჭელს.

ქოთანი 3 ერთეულით არის წარმოდგენილი. ფორმით დაახლოებით იგივე ტიპი, რაც აშს-ს ქოთნები. ეს სრულიად ბუნებრივია მისი ფუნქციიდან (საჭმლის მოსამზადებელი) გამომდინარე.

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია პატარა პირმოყრილი სასმისები (3 ც.).

გვხვდება ქილის ფორმის ჭურჭელი. A ნაკვეთში ამ ტიპის 1 ჭურჭლი გამოიყო.

დანარჩენი ფორმების გამოყოფა ვერ ხერხდება. რესტავრაციის შემდგომ ამ ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ ცვლილება არ განიცადა. დაზუსტდა ფორმათა მოყვანილობა და დეკორი.

ქვის მასალა

ქვის მასალაში ყველაზე მრავლად ობსიდიანის ანატკეც-ანამტკრევებია. მოპოვებულია სულ 37 ერთეული, ზოგიერთი რეტუშის კვალით (ნამუშევარი). ვხვდებით სამეურნეო იარაღს (27 ერთეული), რომელშიც გამოირჩევა მოგრძო ხელსაფქვავი (15), როდინი (2), სანაყი და სალესი ქვები (10). საბრძოლო იარაღი (10 ცალი) წარმოდგენილია შურდულის ქვებით და ადრე შუასაუკუნეებით თარიღდება.

ლითონის ნაკეთობანი სულ 12 ერთეულითაა წარმოდგენილი. ვხვდებით რკინის ოვალურთავიან ლურსმნებს (6 ერთეული), ბრინჯაოს ლერაპებს (3 ერთეული) და ბეჭდის თუ საყურის (3 ერთეული) ნატეხებს.

B1 უბანი

ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტებიდან, პროცენტულად ჭარბობს კერამიკა, შემდეგ ქვის, ლითონის და ძვლოვანი მასალა. (ტაბ. XII-XV). კერამიკის საერთო რაოდენობა 124 ერთეულს აღწევს. კერამიკა ფუნქციურად სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის სახითაა წარმოდგენილი და მრავალი სახეობისგან შედგება. ესენია დერგების, ქვევრების, ქოთხების, ჯამების, სასმისების, ხელადების, კვირისტავის და კრამიტების ფრაგმენტები.

დერგები (A 5 კვ.) სამეურნეო დანიშნულებისა. მოწითალო-მოშავოდ, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, სადა თარიღდება. ადრებრინჯაოს ხანით.

ქოთხები (A 5 კვ.) სამზარეულო დანიშნულებისა. მონაცრისფროდ და მოწითალოდ გამომწვარი, კოპებიანი. ადრებრინჯაოს ხანის.

ჯამი (A 5 კვ.) გვერდის ნატეხი, სამზარეულო დანიშნულების, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. ადრებრინჯაოს ხანისა.

გაურკვეველი ჭურჭლის ტიპი (A 5 კვ.), სამზარეულო დანიშნულების. მოყავისფროდ და მოშავოდ გამომწვარი. ადრებრინჯაოს ხანის.

ჭურჭელი (A 5 კვ.) სამეურნეო დანიშნულების, მოყავისფროდ გამომწვარი, პირზე ჭდებით, ხელით ნაძერწი. ადრებრინჯაოს ხანის.

ჯამი (A 5 კვ.) სუფრის ჭურჭელი, გვერდის ფრაგმენტები, შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, ორნამენტირებული. აღმოჩნდა №2 ორმოში. ადრებრინჯაოს ხანა.

ტაფისებური ჭურჭელი (A 5 კვ.) სამზარეულო დანიშნულების. მონაცრისფროდ გამომწვარი. ძირზე ჭილობის ანაბეჭდით. აღმოჩნდა №2 ორმოში. ადრებრინჯაოს ხანის.

ქოთანი (A 5 კვ.) სამზარეულო დანიშნულების. შავპრიალა, მოვარდისფრო სარჩულით. აღმოჩნდა №2 ორმოში. ადერბრინჯაოს ხანით დათარიღდება.

გაურკვეველი ტიპის ჭურჭლის გვერდის ნატეხი (A 11 კვ.), სამზარეულო დანიშნულების, მოწითალოდ გამომწვარი, ორნამენტირებული. გვიანანტიკური ხანის.

გაურკვეველი ტიპის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (A 12 კვ.), მონაცრისფროდ გამომწვარი, გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ხანის.

კვირისტავი (A 12-13 კვ.) მთელი, მოშავო მონაცრისფროდ გამომწვარი, ბორბლისებური ფორმის. გვიანანტიკური ხანის.

დოქი. ფრაგმენტული სუფრის. მონაცრისფროდ გამომწვარი, აღმოჩნდა №2 სამარხის №2 მიცვალებულის კომპლექსში. გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

დოქი, სუფრის, მოვარდისფროდ გამომწვარი, კანელურებიანი, აღმოჩნდა №1 სამარხის №2 მიცვალებულის კომპლექსში. გვიანანტიკური ხანის (ტაბ. XIII 12-63).

ხელადა (A-7 კვ.) მოჩალისფროდ გამომწვარი, სამტუჩა. აღმოჩნდა №33 სამარხში. გვიანანტიკური ხანით თარიღდება. (ტაბ. XV 8-54).

სასმისი (A-9 კვ.) სუფრის. მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა №27 სამარხში. გვიანანტიკური ხანის (ტაბ. XII 9-55).

სასმისი სუფრის, მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა №2 სამარხში. გვიანანტიკური ხანის.

ქოთანი (A-6 კვ.) სამზარეულო დანიშნულების. მოშავოდ გამომწვარი. აღმოჩნდა №32 სამარხში. გვიანანტიკური ხანისა.

ქვევრები (A-4-5, 12-13 კვ.) სამეურნეო დანიშნულების. მათი ფრაგმენტები მრავლადაა წარმოდგენილი. მონაცრისფროდ გამომწვარი; ადრე შუასაუკუნეებით თარიღდება.

გაურკეველი ტიპის ჭურჭელი (A-4-5, 11-12 კვ.) სუფრის. მოწითალოდ მოშავოდ და მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. გვხვდება, როგორც სადა, ასევე ორნამენტიანებიც. ადრეშუასაუკუნეების ხანისა.

დერები (A5, კვ. №1 ორმო) სამეურნეო დანიშნულების. მონაცრისფრო, მოშავო, აგურისფრად გამომწვარი. ადრეშუასაუკუნეების ხანისა.

ქოთნები (A5, 11-12 კვ.) სამეურნეო. მოშავო-მონაცრისფროდ და მოწითალოდ გამომწვარი. ადრე შუასაუკუნეების ხანისა.

ჭურჭლის ნატეხი (A4 კვ.) სუფრის. მონაცრისფროდ გამომწვარი, მოხატული. ადრეშუასაუკუნეების ხანისა.

ფესტონი, მთელი სამეურნეო. აგურისფრად გამომწვარი, მომრგვალებული ფორმის, ბრტყელი. აღმოჩნდა №1 ორმოში. ადრეშუასაუკუნეების ხანისა.

კრამიტები, ნატეხი, 2 ცალი (A-4-13 კვ.) სამშენებლო, მოყავისფროდ გამომწვარი. ადრე შუასაუკუნეების ხანისა.

ჭურჭელი, ფრაგმენტები (A-3 კვ.) სამზარეულო, მოჭიქული, მოყვითალო ფერის. შუასაუკუნეებით თარიღდება.

ქვის მასალა, ძეგლზე მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი. სულ 5 ერთეული.

კაჟი (A-5 კვ.) ანამტვრევი, მოთეთრო. ადრებრინჯაოს ხანის.

ახატკეცი (A-5 კვ. №2 ორმო) ობსიდიანის. ადრებრინჯაოს ხანისა.

ლამელა კაჟის (A-5 კვ. №2 ორმო) მოთეთრო. ადრებრინჯაოს ხანისა.

ლითონის მასალა 14 ერთეულითაა წარმოდგენილი: ბეჭედი რკინისა (C ნაკვ.) ფარაგიანი. აღმოჩნდა №1 სამარხის №1 მიცვალებულის კომპლექსში. გვიანანტიკური ხანის.

ბეჭედი რკინისა (A-9 კვ.). ბრტყელფარაკიანი, ჩასმულია ტიხე-ფორტუნას გამოსახულებიანი სარდიონის გემა. აღმოჩნდა №27 სამარხში.

გვიანანტიკური ხანის. (ტაბ. XII 24-132).

დანები რკინის 2 ც. ნატეხები (A-5-11 კვ.) სამზარეულო დანიშნულების. ბრტყელი, სწორზურგიანი. ადრეშუასაუკუნეების ხანისა.

ნემსი რკინის, წვერის ნატეხი (11 კვ.) ხელსაქმის. ადრეშუასაუკუნეების ხანისა.

ბეჭედი ბრინჯაოსი (№1 სამარხის №1 მიცვალებული.) სამკაული. პატინირებული, ფარაგიანი. გვიანანტიკური ხანის. (ტაბ. XIII 23-121).

ბრინჯაოს ნემსის ნატეხი (C ნაკვ, №1 სამარხის №1 მიცვალებული.).

მონეტები ვერცხლის სარიტუალო, “ქარონის ობოლი” 3 ც. ორი ოქტავიანე ავგუსტესის დინარებია, მესამე არ იკითხება. ორი მათგანი №1 სამარხის

№1 მიცვალებულის კომპლექსში; მესამე კი №2 სამარხში. ადრერომაული ხანის.

ჯვარი ვერცხლის (A-11-12 კვ.) ტოლმკლავა, ვერცხლისავე ბუდით. ადმოჩნდა №1 სამარხში. ადრე შუასაუკუნეებით თარიღდება. (ტაბ. XII, 25-140, XXVIII 25-140). (დანართი F).

ფირფიტა ოქროსი (A-7 კვ. №33 სამარხი) სარიტუალო. “ქარონის ობოლი”. თხელფურცლოვანი, მომრგვალებული ფორმისა. გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

მინის მასალა ორიოდე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი: სანელსაცხებლე (№1 სამარხის, №1 მიცვალებული). მოლურჯო ფერის. გვიანანტიკური ხანით თარიღდება. (ტაბ. XII).

მძივები სარდიონის, წახნაგოვანი 3 ც. ადმოჩნდა №1 სამარხის №1 მიცვალებულის კომპლექსში. გვიანანტიკური ხანის;

მძივები იოტები (№1 სამარხის №1 მიცვალებული) მინისებური პასტის, 14 ც. გვიანანტიკური ხანით თარიღდება. (ტაბ. XII).

მძივი მინისებური პასტის (№2 სამარხი) წაგრძელებული ფორმის. გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

მძივები საკიდი მინისებური პასტის (№2 სამარხი) მოზაიკური, ინკრუსტრიონებული, მონაცრისფრო. გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

მძივები გიშრის (A-7 კვ. №33 სამარხი) -2 ც. გვიანანტიკური ხანის.

მძივები იოტები (A-7 კვ. №33 სამარხი) -წაგრძელებული ფორმის, სიგრძეზე ნახვრეტით. გვიანანტიკური ხანის.

მძივები მინისებური პასტის (A-9 კვ. №27 სამარხი) მოცისფრო, თეთრზოლიანი – 22 ც. გვიანანტიკური ხანის.

ძვლის სამკაული ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი: საკინძი (№1 სამარხის №1 მიცვალებული), გრძელი, თავთან დაწახნაგებული. გვიანანტიკური ხანისა. (ტაბ. XII).

ძვლოვანი მასალა მცირე რაოდენობით გვხვდება: ძვალი ბეჭის, ბარძაყის – 2 ერთეული (A-5 კვ. №2 ორმო) წვრილფეხა ცხოველის – ადრებრინჯაოს ხანა.

ძვალი ბარძაყის. წვრილფეხა ცხოველის.

ქვედა ყბის ფრაგმენტები კბილებით (A-5 კვ.).

ძვლის ფრაგმენტები – 5 ერთეული (16 კვ.).

ადრე შუასაუკუნეების ხანის (დანართი E 1, 2).

ნაკვეთი B

ადრებრინჯაოს ხანა

ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა მთლიანად ხელით ნაძერწია, სამეთუნეო მორგვის გამოყენების გარეშე. იგი შეიცავს 120 თიხის ჭურჭელს, რომელშიც განირჩევა 8 ჯამი, 46 ქოთანი, 66 ქილა, 20 ტაფა, 4 კოჭობი და სხვა. არის ერთი ან ორ ფენად გამომწვარი როგორც უხეში, ცუდად გამომწვარი და მოგლუვებული, ისე ფაქიზად დამზადებული გაპრიალებულ ზედაპირიანი ნაწარმი. გვხვდება ძირითადად ლეგა-მოყავისფრო და შავი ფერის კერამიკა. ორნამენტი იშვიათია და წარმოდგენილია უხეშ კერამიკაზე პირქვეშ მიძერწილი ოვალური შვერილების სახით. (ტაბ. XVI 10-52) ამის გარდა, გვხვდება ძირზე

წრიული წნულის ანაბეჭდის კვალიც, რაც უმთავრესად ტაფისებრ ჭურჭლისთვისაა დამახასიათებელი. (ტაბ. XVI 10-53). არის წითლად შეღებილ ზედაპირიანი ჭურჭელიც. კერამიკული მასალის უმრავლესობა მომდინარეობს თხრილის სამხრეთი ნახევრიდან. განკუთვნილია სამეურნეო, სამზარეულო დამიშნულებისთვის.

ადრებრინჯაოს ხანის ქვის მასალის უმეტესობა ობსიდიანის ანატკეცების სახითაა წარმოდგენილი (18 ერთეული). სამეურნეო დანიშნულების იარაღების უმრავლესობა ბაზალტისგანაა დამზადებული და წარმოდგენილია ქვასანაყით, სასრესით, სალესით, საბეგველით და სხვა იარაღებით. აქატის საკიდი აღმოჩნდა №3 ორმოში. იგი ოეთრი ფერისაა, ცილინდრული ფორმის, ზედა ნაწილში გამჭოლი ხერელით. აღმოჩნდა ძეგლის სამხრეთ ნაწილში A, B, 6, 4, 5, 6, კვადრატებში.

ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნივთები წარმოდგენილია სპილენ-ბრინჯაოს, ძირითადად სამეურნეო დანიშნულების იარაღებით – ანკესით, ისრისპირითა და წვრილდეროიანი სადგისებით. აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ ნახევარში.

ამ პერიოდის ძვლოვანი მასალა წარმოდგენილია ძირითადად საქონლის ჩონჩხის ნაწილებით (22 ერთეული). მათგან ერთი გამოყენებულია კვირისტავად. არის ორი ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტიც.

შეა საუკუნეების ხანის თიხის ჭურჭლის უმეტესობა ჩარხზეა დამზადებული. გვხვდება შავი, ლეგა და მოვარდისფრო ნაწარმი შემკული ზოგჯერ დაკეჭნილი რელიეფური სარტყლითა და წიწვისებური (herringbone incision) ორნამენტით. იშვიათად არის წითელი ფერის სალებავით მოხატული ფრაგმენტებიც. ამ პერიოდის კერამიკა შეიცავს 50 ჭურჭელს. აქედან 17 ერთეული ქოთანი უნდა იყოს, 1 ფიალა, 6 ხელადა, 10 ქვევრი, 16 დერგი.

C უბანი (№2 თხრილი)

(ტაბ. XVII-XXVII; XXIX-XXXI)

№2 თხრილში წარმოებული გათხრებისას მოპოვებულ იქნა 221 ერთეული კერამიკული ჭურჭელი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილი იყო ცალკეული ფრაგმენტების სახით. ძირითადად გავრცელებულია საშუალო და დიდი ზომის ხელით ნაძერწი დერგისებრი ჭურჭელი (27 ერთეული), კეცში მსხვილი და წვრილმარცვლოვანი ჩანართებით. ახასიათებთ რუხი, მოშავო, მონაცრისფრო, ლეგა, ჩალისფერი და აგურისფერი გამოწვა. გვხვდება უხეში ზოგჯერ კი შავპრიალა ზედაპირიანი ჭურჭელი.

დერგები აღმოჩნდა №2 თხრილის მესამე ნაკვეთის B₅, B₆, A₅, A₆, კვადრატებში. ისინი საგარაუდოდ განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სამეურნეო საქმიანობისათვის, კერძოდ, მარცვლოვანი კულტურის, ასევე სითხის შესანახად. ამ ჯგუფის ჭურჭელი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

შედარებით მცირე რაოდენობით გამოვლინდა ხელით ნაძერწი შავად და წითლად ნაპრიალები ჯამები (3 ერთეული). ისინი გამოვლინდა B₅, B₆, კვადრატებში. გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამზარეულო საქმიანობაში. ორჭოსანის მასალების მიხედვით ამ ჯგუფის ჭურჭელი თარიღდება ძვ. წ.-ის III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

გვხვდება შავად ზედაპირნაპრიალები, რუხად, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი ქოთნისებური ჭურჭელი (44 ერთეული), რომელთაც აქვს ერთფენიანი კეცი წვრილმარცვლოვანი ჩანართებით. ახასიათებთ უხეში ზედაპირი, ვარდისფერი, მოშავო-მონაცრისფრო შიდაპირი და პროფილირებული მუცელი.

ქოთნის მაგვარი ჭურჭელი აღმოჩნდა B₃, B₅, B₆, კვადრატებში. ისინი განეკუთვნება სამზარეულო, სუფრის ჭურჭელს. თარიღდება აღრებრინჯაოს ხანით.

დასტურდება შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ბადია (3 ერთეული)ერთფენიანი კეცი ქვიშისა და ქარსის ჩანართებით. აქვს მომრგვალებული ფორმა, ზოგჯერ წიბოიანია. გამოვლინდა B₆, კვადრატში და განეკუთვნება სამზარეულო დანიშნულების თიხის ჭურჭელს (საჭმლის, სითხის შესანახად). თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით. გამოიყოფა ლეგად, მონაცრისფროდ და ჩალისფრად გამომწვარი თხელკეციანი, ქოთნისებური ჭურჭელი (4 ერთეული) დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. შემკულია ნაპრიალები და ამოღარული ზოლებით. აღმოჩნდა №1 ნაკვეთის A₁, A₆, კვადრატებში. განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სამზარეულო საქმიანობისათვის. თარიღდება აღრერკინის ხანით (ძვ. წ. VIII-VII სს.).

გვხვდება ჩარხზე დამზადებული მონაცრისფროდ, მოყავისფროდ, აგურისფრად და შავად გამომწვარი მომცრო ზომის ჭურჭელი-ხელადა (6 ერთეული). ამ ჯგუფის ჭურჭელი დაფიქსირდა A₆, B₅, B₆, კვადრატებში. განეკუთვნება სუფრის ჭურჭელს და თარიღდება გვიანანტიკური ხანით (I-III სს.).

გავრცელებულია მონაცრისფროდ, ვარდისფრად, მოწითალოდ, ჩალისფრად და აგურისფრად გამომწვარი თხელკეციანი პატარა ზომის ქოთნისმაგვარი ჭურჭელი (7 ერთეული). ხასიათდება მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით და შიდაპირით, ერთფენიან კეცში წვრილმარცვლოვანი ჩანართებით ქოთნის მაგვარი ჭურჭელი გამოვლინდა მესამე ნაკვეთის B₅, B₆, კვადრატებში. განეკუთვნება სუფრის ჭურჭელს. თარიღდება გვიანანტიკური ხანით.

მწირედაა გამოვლენილი მოშაო-მონაცრისფრო და მოწითალო ზედაპირიანი და ასეთივე შიდაპირიანი ჯამები (3 ერთეული). (ტაბ. XIX) აღმოჩნდა B₅, კვადრატში. განეკუთვნება სამზარეულო ფუნქციის მატარებელ თიხის ჭურჭელს და თარიღდება გვიანანტიკური ხანით (I-III სს.).

იშვიათად დასტურდება მონაცრისფროდ, მოყავისფროდ გამომწვარი კოჭები (3 ერთეული) (ტაბ. XX) ნაძერწი. აღმოჩნდა B₅, კვადრატში. სამზარეულო დანიშნულებისაა. თარიღდება I-III სს.

გვხვდება ნაცრისფერი, შავზედაპირიანი ქვევრები (36 ერთეული). კორპუსი შემკულია ირგვლივ შემოყოლებული რელიეფური სარტყლების რამდენიმე რიგით, რომელიც ზოგჯერ მთელ ტანს ფარავს. ქვევრები აღმოჩნდა A₁, A₃, A₆, B₅, B₆, კვადრატებში. აქვთ სამეურნეო დანიშნულება. გამოიყენებოდა ხორბლის, შვრიის და ძირითადად სითხის შესანახად. თარიღდება ადრე შუასაუკუნეების პერიოდით. (ტაბ. XXII)

ადრე შუასაუკუნეების ხანის ნამოსახლარზე საქმაოდ უხვად გვხვდება შავი, მონაცრისფრო, მოვარდისფრო ზედაპირიანი და შიდაპირიანი დერგები (18 ერთეული). ზოგჯერ აქვს უხეში, ნაპრიალები ანდა შავად შეღებილი ზედაპირი. აღმოჩნდა მეორე და მესამე ნაკვეთების A₃, A₅, B₆, კვადრატებში. გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. თარიღდება ადრე შუასაუკუნეების ხანით (IV-VI სს.).

წარმოდგენილია მონაცრისფროდ, მოწითალოდ, ლეგად, მოშაოდ გამომწვარი ქოთნები (16 ერთეული). აქვთ თხელი კეცი, წვრილმარცვლოვანი ჩანართებით. ამ ჯგუფის ჭურჭელი დამზადებულია ჩარხე. აღმოჩნდა №2 თხრილის სამივე ნაკვეთის A₂, A₃, A₆, B, კვადრატებში და №1 ორმოში. განეკუთვნება სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელს და თარიღდება გვიანანტიკური ხანით.

გვხვდება უხეში ზედაპირიანი, აგურისფრად გამომწვარი, ხელით ნაძერწი 1 ცალი თიხის კვირისტავი. აქვს ბორბლისებური ფორმა, შუაში გამავალი გამჭოლი ნახვრეტით. აღმოჩნდა მეორე თხრილში, №1 ნაკვეთის A₃, კვადრატებში (№1 ორმო). გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში ძაფის რთვისას. თარიღდება ადრებრინჯაოს ხანით.

გამოვლინდა თიხისგან გამოძერწილი მცირე ზომის მდედრობითი ნიშნების მატარებელი ანტროპომორფული ქანდაკება (1 ეგზემპლარი). დაფიქსირდა №3 ნაკვეთის B₆ კვადრატში. საკულტო დანიშნულებისაა. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით. (ტაბ. XXIX 113-219).

გავრცელებულია ქვის ხელსაფქავები (4 ერთეული). (ტაბ. XXII). რომლებიც შემორჩენილია, როგორც სრულად, ასევე ფრაგმენტულად. აქვთ რომელიც ზოგჯერ ნაპრიალები ზედაპირი გამოიყენების კვალით. აღმოჩნდა მეორე თხრილის B₅, B₆, კვადრატებში. გამოიყენება სამეურნეო საქმიანობაში. თანმხლები მასალებით თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

გვხვდება ლია ნაცრისფერი, მოშავო ზედაპირიანი (2 ერთეული) სალესი ქვა. აქვთ ოვალური ფორმა. ეტყობა გამოიყენების კვალი. აღმოჩნდა მეორე თხრილში, მესამე ნაკვეთის B₅, B₆, კვადრატებში. გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. თანმხლები მასალასთან ერთად თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

გავრცელებულია კაუისა და ბაზალტისაგან დამზადებული მოთეთრო და მონაცრისფრო ფერის, უხეშად დამუშავებული ნამგლის ჩასართები (2 ერთეული). აღმოჩნდა მესამე ნაკვეთის, A₆, B₆, კვადრატებში. გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

დასტურდება კაუის ლამელები (5 ერთეული) მოთეთრო, კარგად და უხეშად დამუშავებული ზედაპირით. აღმოჩნდა მეორე თხრილის A₆, კვადრატებში. გამოიყენებული უნდა ყოფილიყო სამეურნეო საქმიანობაში. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

გვხვდება მოთეთრო ობსიდიანის ანატკეცები (10 ერთეული). აღმოჩნდა A₆, B₆, კვადრატებში. გამოიყენებოდა საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღების დასამზადებლად. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

გავრცელებულია ქვიშაქვისგან დამზადებული მონაცრისფრო როდინები-ფრაგმენტების სახით (3 ერთეული). აღმოჩნდა მეორე თხრილის B₅, კვადრატში. გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. თარიღდება ადრეშუასაუკუნეების ხანით.

გახვდება ცენტრში სწორკუთხა ნახერეტიანი, ლერძის ჩასამაგრებლიანი წისქვილის ქვა (1 ერთეული). აქვს უხეში ზედაპირი, სწორი შიდაპირი გამოყენების კვალით. აღმოჩნდა A₆, B₆, კვადრატებში. გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. თარიღდება IV-VI სს.

დასტურდება მონაცრისფრო, უხეშ ზედაპირიანი კარგად დამუშავებული 1 ქვის თაღის დეტალი. რომლის კიდეებზე დატანილია ბორჯლალის, მზის დისკო და სავარცხლისებური გამოსახულება. აღმოჩნდა მესამე ნაკვეთის A₆, კვადრატში. არის სამშენებლო არქიტექტურული დეტალი. თარიღდება შუასაუკუნეების პერიოდით (ტაბ. XXI).

გავრცელებულია სფეროსებური ფორმის, მოწითალო ფერის, ზედაპირნაპრიალები, გამჭოლნახერეტიანი სარდიონის (2 ერთეული) მძივი; კასრისებური, კონუსისებური, ბირთვისებური ფორმის, მომწვანო ფერის მინის მძივი (4 ერთეული); მრგვალი და კონუსისებური ფორმის, გვერდებამოდარული მინის მძივი

პასტის მძივები (31 ერთეული) არის მომწვანო, მორუხო, ვერცხლისფერი. ოთხკუთხა, ბიკონუსური, ბორბლისებური, წაგრძელებული ფორმის. აღმოჩნდა A₆, B₆, კვადრატებში. განეკუთვნება სამკაულს. თარიღდება გვიანანტიკური ხანით.

აღმოჩნდა მომწვანო ზედაპირიანი, პატინირებული, ყალიბში ჩამოსხმული ტრაპეციის ფორმის ბრინჯაოს თოხი. აღმოჩნდა მესამე ნაკვეთის B₆, კვადრატში (ტაბ. XXXIV) განეკუთვნება მიწის დასამუშავებელ იარაღს. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

რკინის ფრაგმენტირებული სამაჯური (1 ერთეული). მრგვალდეროიანია. აღმოჩნდა მესამე ნაკვეთის B₆, კვადრატში. განეკუთვნება სამკაულს. თარიღდება გვიანანტიკური ხანით (I-II სს).

№2 თხრილში წარმოდგენილია მსხვილფეხა (ძროხა) და წვრილფეხა საქონლის ძვლები (თხა, ცხვარი). იშვიათადაა ცხვარი და ირემი. ისინი აღმოჩნდა A₃, B₆, კვადრატში. განეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანას. (დანართი D 1, 2).

გამოვლინდა 20 მიცვალებულის ჩონჩხი. ისინი აღმოჩნდა B₆, B₅, A₅ A₆, B₄, A₃, კვადრატებში. განეკუთვნება გვიანანტიკურ, ადრე და გვიანშუასაუკუნეების ხანას.

D უბანი

გერამიგა

D თხრილში აღმოჩნილი მასალის უდიდესი ნაწილი კერამიკაა, (სულ 849 ერთეული) რაც არტეფაქტების საერთო რაოდენობის 85% წარმოადგენს. მასში ძირითადად განვითარებული ადრეშუასაუკუნეების (I ფენა) და ადრებრინჯაოს ხანის (II ფენა) ნაწარმი გამოირჩევა. (ტაბ. XXIII-XXVII). ადრეშუასაუკუნეების კერამიკაში გამოირჩევა 469 ერთეული, რომელთაგან სადა 374, ორნამენტირებული - 95-ია.

ყველაზე ტიპიურ ნაწარმად ჩანს მოზრდილი და საშუალო ზომის ქვევრები (35 ერთეული), ზედაპირზე რელიეფურჭდებიანი სარტყელების 4-9 რიგით. მათი მოცულობა მეტნაკლები სიზუსტით 100-500 ლიტრს შორის მერყეობს. გამოიყენებოდა სითხის (დვინის) შესანახად. მათი რაოდენობა აშკარად მიუთითებს მევენახეობის მაღალ დონეზე რეგიონში.

ძალზე გავრცელებულია მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალევი თხელკედლიანი ჭურჭლის (ხელადა, დოქი) ფრაგმენტები. ამ ჯგუფს განეკუთვნება 2 ერთეული. ანალოგიური მასალების გათვალისწინებით ორივე ამ ჯგუფის ნაწარმი ას. წ. V-IX სს ფარგლებში ექვევა, შესაძლოა უფრო მის მოგვიანო ხანისადმი მიეკუთვნება VIII-IX სს.

ამ თარიღზე უნდა მიუთითებდეს ერთი მომწვანო ჭიქურით შემკობილი ფრაგმენტი, რომელიც ამ რიგის უადრეს ნიმუშების ანალოგიურია.

მოხატული ნაწარმის დანარჩენი 48 ერთეული უნდა განეკუთვნებოდეს ძირითადად ქოთნების ჯგუფს, რომლებიც ხასიათდება თხელი კეცით, მონაცრისფრო, მსუბუქად ნაპრიალევი ზედაპირით, ზოგჯერ ცეცხლზე ყოფნის კვალით.

დანარჩენი 374 (უმრავლესობა) ლეგა, მონაცრისფრო და მოშაო ფერისაა, სადაა. დამზადებულია ძირითადად წვრილმარცვლოვანი თიხისგან. ძირითადად ქოთნების და ჯამების ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაში (311 ერთეულია) სადაა 242, ხოლო ორნამენტირებულია 69 ერთეული.

ყველაზე ტიპიურ ფორმად ადრებრინჯაოს ხანისთვის ჯამებია მიჩნეული. გვხვდება ძირითადად ლია ლაქებიანი შავპრიალა ნატეხები ვარდისფერ სარჩულზე (14 ერთეული). არის ერთფეროვანი სარჩულის გარეშე (3 ნატეხი). განეკუთვნება სუფრის ჭურჭლის ტიპს. (ტაბ. XIX-XX).

მეორე ტიპიური ფორმა პიონებია (6 ერთეული) (ტაბ. XXVI). დამზადებული წვრილმარცვლოვანი ქვიშისაგან ზოგჯერ კვარცის მინარევებით. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ორივე ეს ფორმა ტიპიურია.

მესამე ფორმა, რომელიც აშკარად გამოიყოფა მონაპოვარ კერამიკაში ქილის ფორმისაა (სულ 9 ერთეული). ჩვეულებრივ ამ ფორმის ჭურჭელი ლეგა ან მოშაო, პირის ქვეშ ამკობს მოგრძო, ვერტიკალური შვერილები. ანალოგიური კერამიკა ტიპიურია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის (შულავერი, არუხლო, სიონი, შომუთევე), რომელიც წინ უსწრებს მტკვარ-არაქსის კულტურას და ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებს განეკუთვნება.

ამ პერიოდისთვის ტიპიურია „ბიბილოსებრი“ შვერილებიანი (4 ერთეული) და დახვრეტილტანიანი (3 ნატეხი) ჯამის ფორმის ჭურჭელი. ამ მასალის აღმოჩენა სამეურნეო ორმოებში აშკარად გვიჩვენებს ორჭოსნის ნასახლარის ათვისების ადრეულ პერიოდს.

არის ნატეხების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ხასიათდება მაღალი, ცილინდრული ყელით, აგურისფერი ხაოიანი ზედაპირით (7 ერთეული) და თხელკედლიანი, შავად კარგად ნაპრიალები კერამიკა. ისინი

დამახასიათებელია ადრებრინჯაოს ხანის „ბედენური“ ეტაპისათვის, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით თარიღდება.

ამგვარად აშკარაა, რომ ნასახლარის II ფენის არსებობის ხანა საკმაოდ ხანგრძლივია (ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო – III ათასწლეულის დასასრული). ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მათი გამოჩენა მესხეთში, რაც არამარტო სამხრეთკავკასიულ, არამედ ზოგადად ანატოლიურ ძეგლებთან მიმართებაში, უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

ქვის მასალა

ორჭოსანის ნასახლარის D ნაკვეთში ქვის 144 ერთეულია აღმოჩენილი. მათგან 89 (დაახლოებით 60%) ობიექტის ანატკეც-ანამტვრევებია. აქედან 10 ერთეული ადრეშუასაუკუნეების ფენაში გამოვლინდა. უმრავლესობას ემჩნევა ერთერთ გვერდზე რეტუშის კვალი. ადრებრინჯაოს ფენაში აღმოჩენილი ანატკეცებიდან 7 აშკარად საფხეკს განეკუთვნებოდა და ეტყობა მუშაობის კვალი. ამავე ფენაში გვხვდება კაჟის ანატკეცები მუშაობის კვალით (3 ერთეული) და ბაზალტის უხეში ანატკეცი 4ც. (ტაბ. XXVII) ვხვდებით ხელსაფქვავის ქვებს. (12 ერთეული). ამასთანავე ადრეულები, ნავისებური ფორმისაა, გვიანდელი კი მრგვალბრტყელი. ორივე შემთხვევაში ზედაპირი ნახებ-ნამუშევარია, ზურგის მხარე კი ოვალურია. ვხვდებით რბილი ჯიშის ქვის მოგრძო ფორმას, ზოგჯერ თავთან გახვრეტილ სალეს ქვებს (სულ 10ც.). აქედან მხოლოდ 1 ზედა (I) კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი. არის ორი როდინის ნატეხი.

ქვის მასალიდან აღსანიშნავია საბრძოლო იარაღი (სულ 23 ერთეული). აქედან უმრავლესობა 18 ერთეული შურდულის ქვებს წარმოადგენს და განეკუთვნება ზედა I ფენას. აქვეა 2 ანდეზიტ-ბაზალტის ქვედა პალეოლიტური იერის ხელცული, რომელიც შესაძლოა ზემოდან შემთხვევითად მოხვედრილი.

ადრებრინჯაოს ხანის ქვის საბრძოლო იარაღიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ობიექტის 3 პატარა ზომის, ტოლგვერდა, სამკუთხა ფორმის ისრისპირი, დამუშავებული წმინდა, მცოცავი რეტუშით აღსანიშნავია, რომ ერთი მსგავსი ისრისპირი ასევე ორჭოსნის ნასახლარზეა აღმოჩენილი 2003 წ. და სხვა ზუსტი ანალოგი არ გვებულება. გამოთქმულია მოსაზრება (ალ. ორჯონიშვილი 2005), რომ ამ ტიპის ისრისპირები ადრებრინჯაოს ხანის მესხეთის ლოკალური კულტურის ტიპიური ფორმა უნდა იყოს. (ტაბ. XXVII).

საკულტო ნივთებიდან აღსანიშნავია ადრებრინჯაოს ხანის 1 ცხვრის (?) ქანდაკება-საკიდი.

ლითონი

D ნაკვეთში II-ადრებრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩენილია ბიკონუსურთავიანი, გრძელყუნწიანი ბრინჯაოს 1 ისრისპირი. მსგავსი ნაკეთობა არაა ტიპიური სამხრეთკავკასიური მასალებისათვის და საჭიროებს დეტალურ შესწავლას (ქიმიური ანალიზი) და ანატოლიურ მასალებთან შედარებას.

რკინის (24 ერთეული) ნაკეთობა აღმოჩენილია ნასახლარის ზედა (I) განვითარებულ და ადრეშუასაუკუნეების ფენაში. ვხვდებით ნალს (3ც),

ბრინჯაოს ღერაკს (2ც) და ბრტყელ ოვალურთავიან მოკლე ლურსმნებს, (19ც).

აღსანიშნავია სარკმლის მინის და სასმისის ფრაგმენტები (9 ერთეული), თუმცა ისინი უფრო განვითარებულ ეტაპს განეკუთვნება და სასახლის ტიპის ნაგებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ძვლოვანი მასალა

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა ძვლის სამკაული, (ტაბ. XXVII) აღმოჩენილი ქვედა ფენაში ძირითადად ორმოებული. შეინიშნება ძვლის გაპრიალებული საკინძების განსაკუთრებული სიმრავლე. მათში გამოიყოფა მრგვალდეროიანი, უთავო, ნიჩბისებურ ან ბიკონუსურ თავიანი უგზემპლარები. არის ძვლის სახერეტები, რომელთაგან ორიგინალური ჩანს ბიკონუსური ფორმის ნივთი მისი ზუსტი ანალოგი ჩვენთვის ცნობილ ძეგლებზე არა ჩანს. დანარჩენი მთელი მასალა კი ტიპიურია ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ ამიერკავკასიისთვის.

ცხრილი 1 მასალის მიხედვით დაჯგუფებული არტეფაქტები

არტეფაქტები	სამაროვნაზე მოპოვებული	ნასახლარზე მოპოვებული	უკინტექსტოდ მოპოვებული	სულ
კერამიკა				
ბრინჯაო				
რკინა				
ვერცხლი				
ოქრო				
ქაბ				
მინა				
ძვალი				
ტექსტილი				
სულ				

ცხრილი 2 ფუნქციის მიხედვით დაჯგუფებული არტეფაქტები

არტეფაქტები	სამაროვნაზე მოპოვებული	ნასახლარზე მოპოვებული	უკინტექსტოდ მოპოვებული	სულ
სუფრის ჭურჭელი				
სამზარეულო ჭურჭელი				
საყოფაცხოვრებო				
სამეურნეო				
საბრძოლო				

სამშენებლო				
საკულტო				
სამკაული				
პირსაფარებო				
სამოსი				
წარმოების ნაშთები				
გაურკველი				
სულ				

ცხრილი 3 სტილის მიხედვით დაჯგუფებული არტეფაქტები

კერამიკა	ძეგლზე მოპოვებული	უკონტაქსტოდ მოპოვებული	სულ
სადა			
მოხატული			
რელიეფური			
ნაჭდევებიანი			
დაღარული			
შვერილებიანი			
სულ			

6.0 ინტერპრეტაცია

როგორც ექსპედიციის საველე სამუშაოები გვიჩვენებს ორჭოსანის ტერასა ათვისებულია უკვე ქვედა პალეოლითის ხანაში. ზედაპირულად შეგროვილი მასალა შეიცავს ანდეზიტ-ბაზალტის ქვისაგან დამზადებულ იარაღებს (ხელცული, სახოკები, ანატკეცები) (დანართი №G). აშკარაა, რომ ორჭოსანი და საერთოდ მდ. ფოცხოვის ხეობა უკვე აშელის პერიოდიდან არის ათვისებული სიტუაცია მკვეთრად იცვლება მუსტიეს დასასრულისთვის. ვიურმის გამყინვარების პერიოდში მოსახლეობა, როგორც ჩანს ტოვებს სამცხის ტერიტორიას და გადადის უფრო ზომიერი კლიმატის ზონაში, დასავლეთ საქართველოში.

შესწავლილი ნასახლარის ქვედა ფენაში დასტურდება ადამიანის ხანგრძლივი, უწყვეტი, ცხოვრების კვალი ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის დასაწყისიდან მთელი ძვ. წ. III ათასწლეულის განმავლობაში.

ამის გამო კულტურული ფენა საკმაოდ მძლავრია და ინტენსიური, (სისქე საშუალოდ 1,2 მ.). ფიქსირდება ორივე მილსადენი ტრასის მთელ შესწავლილ ფართობზე. კულტურულ ფენებთან ერთად ვხვდებით ამ პერიოდის ნაგებობებს (2 ერთეული), სამეურნეო ორმოებს (ასზე მეტი), კერამიკის საწარმოო კერას.

მონაპოვარი მასალის უდიდეს ნაწილს კერამიკა წარმოადგენს, რომლის ტოპოლოგიურ-ქრონოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიყოფა სამი ეტაპის ნაწარმი: ადრესამიწათმოქმედო, მტკვარ-არაქსის და ეწ. ბედენური. პირველი ჯგუფი (შავი, ლეგა ზედაპირიანი ჭურჭელი, პირს ქვემოთ მიძერწილი ვერტიკალური შეერილებით) (ტაბ. XXIII, XXIV, XXVI, XXVII) უკავშირდება, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის (ბარამიძე, ფხაკაძე 2004; ორჯონიკიძე 2004; ორჯონიკიძე 2005, გვ. 70; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2007; იურა 2004, გვ 120-121), ასევე ადრებრინჯაოს ხანის მასალებს (ბერიკლები, ამირანის გორა, ორჯონიკიძე 2005, გვ. 71. ჩუბინიშვილი, 1963). ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭელს ახლო პარალელები ექვენება დასავლეთ საქართველოს (ზემო იმერეთის) მდვიმური ნამოსახლარების კერამიკასთან (საგვარჯილე, დარკვეთი, სამერცხლე კლდე, ფხაკაძე 1993, გვ. 35, 40; საქართველოს არქეოლოგია 1992, გვ. 230; ორჯონიკიძე 2005, გვ. 70). კერამიკის მეორე ჯგუფი – მტკვარ-არაქსის კულტურისეული, ხასიათდება სადა, შავპრიალა ზედაპირით მოწითალო ან ლეგა სარჩულზე. (ტაბ. XXIV, XXVI)

კერამიკის მესამე ჯგუფი (ტაბ. XXIV) სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ბედენური კულტურის“ სახელით და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით და III-II ათასწლეულის მიჯნით (გობეჯიშვილი 1981; ორჯონიკიძე 2005, გვ. 71; ჯალაბაძე 1998, ტაბ. 9, 10).

საყურადღებოა, რომ მესხეთში ბედენური და მტკვარ-არაქსული კულტურების თანხვედრა დადასტურებული არის აბასთუმნის მახლობლად შესწავლილი ყანობილის ნამოსახლარზე (იურა, კალანდაძე, არაგვის ქვანიშვილი 1982, გვ. 20-21). ბედენური და გვიან მტკვარ-არაქსული კულტურების თანადროულობა აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ

ქეგლზეა დადასტურებული (ჯაფარიძე 1998, გვ. 144; ორჯონიკიძე 2005, გვ. 73).

კულტურის, ქრონოლოგიის და რიგი სხვა საკითხების გასარკვევად აღსანიშნავია მთელი რიგი ნაკეთობანი, რომელთაც ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. რელიგიის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მჯდომარე პოზაში გამოსახული მდედრობითი სქესის ანთროპომორფული გამომწვარი თიხის ქანდაკება (ტაბ. XXIX) (ორჭოსანში ასეთი ნიმუში 2003 წელსაც აღმოჩნდა). როგორც ჩანს, უფრო მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციაზეა ჩამოყალიბებული (ორჯონიკიძე 2005, გვ. 71-72; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2007), ვიდრე შულავერ-შომუთევეს ადრესამიწამოქმედო კულტურისა, სადაც გამოუმწვარი თიხის ქანდაკებები დასტურდება (Хвиштани 2005, გვ. 172-173). აქვე უნდა ავდიშნოთ ცხვრის (?) ქანდაკება-საკიდი, რაც ამ პერიოდში წვრილფეხა საქონლის მომრავლების მანიშნებელი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ადასტურებს პალეოზოოლოგიური კვლევის შედეგებიც. (დანართი D 1, 2).

ლითონის იარაღიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ნაცროვან კერაში აღმოჩენილი ბრინჯაოს თოხი (Джибладзе 2005, გვ. 100-101). დღემდე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ამ ტიპის სამიწამოქმედო იარაღი არ ყოფილა გამოვლენილი (ძიძიგური 2000, გვ. 188-189, 207-218). ორჭოსანის ბრინჯაოს თოხი ტიპოლოგიურად თითქმის იდენტურია კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გავრცელებული მაიკოპის კულტურის ადრეულ ჯგუფში (ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრის დასასრული) ცნობილი ნიმუშებისაა: გალიუგაი I-ნამოსახლარი, პეტერბურგის სამაროვანი (№150 სამარხი) მაიკოპისა და ზამანგულსკის ყორდანები (Кореневский 1995, გვ. 63-65, სურ. 85; 2004, გვ. 45-46, 207, სურ. 814, 10, 12; Иессен 1960, გვ. 173; Мунчаев 1994, გვ. 199, ტაბ. 48₁₁, 18).

სამხრეთ კავკასიისთვის სრულიად უცხო ფორმის ორჭოსნის თოხი ნიკელის მაღალი შემცველობით გამოირჩევა. (ტაბ. XXIX, XXXIV) კავკასიაში საერთოდ არ არის სპილენძის ნიკელიანი საბადო (Черных 1966, გვ. 44). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი დეტალის მიხედვით ორჭოსნის ბრინჯაოს თოხით პარალელების გავლება შეიძლება ძველ აღმოსავლურ სამყაროში ცნობილ სპილენძისა და ბრინჯაოს ამ რიგის იარაღებთან: სუზა, მერსინი, თევზეგავრა, თევზე-სიალკი, ური, ერიდუ, ბიბლოსი (Анронов 1978, ტაბ. XLV_{11, 12, 13}; Muller Karpe 2002, გვ. 137, სურ. 1). სამხრეთკავკასიული ბრინჯაოს ნივთებისთვის, დარიშხნიანი ბრინჯაოა დამახასიათებელი (Черных 1978, გვ. 63) ნიკელიანი ბრინჯაოს მაღალი შემცველობა მაიკოპური ადრეული ჯგუფის ძეგლებზეც გვხვდება (Кореневский 1995, გვ. 65; 2004, გვ. 98-99, ტაბ. I). მაიკოპის ბრინჯაოს ნაწარმში ნიკელის არსებობა მიუთითებს ამ კულტურის მჟიდორ კავშირებზე ირანის პლატოსთან (Кореневский 1995, გვ. 66; Авилова, Антонова, Тенеишвили 1999, გვ. 57).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ორჭოსნის ბრინჯაოს თოხი არ არის ადგილობრივი წარმოების და სავარაუდოა იყოს მაიკოპური იმპორტი.

ლითონის იარაღიდან საყურადღებოა ბიკონუსურთავიანი, გრძელყუნწიანი ისრისპირი. მსგავსი ნაკეთობა არაა ტიპიური სამხრეთკავკასიისთვის და შესაძლოა ანატოლიური ნაკეთობა იყოს.

ძელოვანი ნაკეთობა ძირითადად საკინძების (ტაბ. XXVII) სახითაა წარმოდგენილი. მათ შორის ორი ტიპი გამოიყოფა T-სებურთავიანი და სიმეტრიულად შევიწროვებული. ორივე ეს ტიპი, ზოგჯერ ლითონის, დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის და მის ერთეულ განმსაზღვრელ და ტიპიურ ნაკეთობას წარმოადგენს. (ჯაფარიძე 1976. გვ. 139-140).

ქვის ნაწარმიდან აღსანიშნავია ობსიდიანის პატარა, სამკუთხა ფორმის ისრისპირები, რომელიც არ ჩანს სხვა სინქრონულ ძეგლებზე. სავარაუდოა, რომ ისინი მესხეთის ლოკალურ თავისებურებად იქნას მიჩნეული (ალ. ორჯონიძე 2005, გვ. 73).

აღსანიშნავია იასპის ოთხკუთხა ფორმის მშენების ზედაპირზე ტეხილხაზოვანი ორნამენტით. (ტაბ. XXVII). როგორც ნივთის მასალა, ისე შემკულობა უცხოა ამიერკავკასიისთვის და ტიპიურია ანატოლიისთვის. როგორც ჩანს, სწორედ აქედან უნდა იყოს ის მოხვედრილი ორჭოსანში.

ამგვარად, ადრებრინჯაოს ხანის ორჭოსანის ნასახლარის მეორე ფენის მასალის ასეთი ზოგადი ინტერპრეტაციაც გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან და არსებით ინფორმაციას შეიცავს ეს ძეგლი. მთელი რიგი პრობლემები, მომავალ დეტალურ ანალიზს საჭიროებს. მასალის ერთი ჯგუფი შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს ნაკეთობათა ნაწილი, რომელიც მტკვარ-არაქსული კულტურის ლოკალურ ხასიათზე მიუთითებს. ამ მოსაზრებას ამაგრებს D ნაკეთში გათხრილი ნაგებობის ნაშთი ორი სწორი და ერთი მორკალული კედლით, სამხრეთ აღმოსავლეთის მხრიდან 1,2 მ. სიგანის სწორკუთხა მინაშენით და შესასვლელით. (ტაბ. X2) ზუსტად ანალოგიური ნაგებობა ექსპედიციის მიერ გათხრილი იქნა 2003 წელში. სამწუხაროდ ორივე შემთხვევაში სრულად გათხრა ვერ მოხერხდა, რადგან ჩრდილო-დასავლეთ კედლები მოექცა ტრასის მონაკვეთის გარეთ. მსგავსი გეგმარების ნაგებობა საერთოდ უცნობია მტკვარ-არაქსის არქიტექტურაში. ქვაცხელას, ხიზანაანთ გორის, შენგავითის, ოზნის, ახალციხის და ახალქალაქის ამირანის გორის და მთელი რიგი ძეგლების მიხედვით ცხადია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელია სწორკუთხა ნაგებობანი შესასვლელის მხრიდან მინაშენით. მორკალული კედლები კი არცერთ მათგანში არ დაფიქსირებულა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ორჭოსანის ნაგებობათა სახით საქმე უნდა გვქონდეს კულტურის ერთეულ ლოკალურ თავისებურებასთან.

საანგარიშო წლის ერთეულთ მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს A ნაკეთში, კონცენტრულ წრეებიანი კონსტრუქციის გამოვლენა და ნაწილობრივი შესწავლა. წრეები 3 რიგადაა განლაგებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ყორდანულ სამარხთან (ტაბ. IV). პირველ და მეორე წრეებს შორის გაიწმინდა 4 მიცვალებულის ჩონჩხი გაშოტილ პოზაში, თავით ყორდანის სავარაუდო ცენტრისკენ.

№4 მიცვალებულის სიახლოვეს აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის იერის რამდენიმე კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტი. საერთოდ ყორლანული სამარხები ტიპიურია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანისათვის მრავლადაა გამოვლენილი შიდა და ქვემო ქართლში, თრიალეთში, კახეთში და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რეგიონში (Куфетин 1941 გვ. 78-231, ტაბ. LV-CXXVI, ე. გოგაძე 1972, გვ. 3-147, ტაბ. 1-34), თუმცა სრულიად უცნობია დას. საქართველოსთვის. ორჭოსანის სამარხი-ყორლანი ტიპოლოგიურად ახლოს დგას აზერბაიჯანში გათხრილ ყორდანებთან: შიუზის, განჯის, კიუდურლინსკის, ახუნდოვ 2006, გვ. 108-162 ტაბ. XII, XV, XXX, XXXVII, XLIX.). მიცვალებულთა მკაცრად რადიალური განლაგება საგარაულო კამერისადმი აშკარად გვიჩვენებს მათ სინქრონულობას წრიულყრილიანი კონსტრუქციისადმი. რადიალური განლაგება სამარხის ცენტრისადმი, სრული უინვენტარობა, ხაზს უსვამს მათ მდგომარეობას, სოციალურ სტატუსს.

უაღრესად შრომატევადი და მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ექსპედიციამ ორჭოსანის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე, რომელიც განფენილია ხასახლარის სამხრეთ ნაწილში B₁ და C ნაკვეთებში.

ამ უბნებზე შესწავლილი გვიანანტიკური პერიოდის სამარხების დამხრობა, მდებარეობა და მათში წარმოდგენილი სამკაულები (ბეჭდები, მძივები), თიხის ჭურჭელი და მინის სანელსაცხებლეთა ფრაგმენტები მსგავსებას ამჟღავნებს მცხეთის (მცხეთა X, თბ., 1995; მცხეთა III, თბ., 1980; მცხეთა XI, თბ., 1995) კარნისხევის (ნიკოლაიშვილი 1993), დიდმის (ნიკოლაიშვილი 1978), უინვალის (ჩიხლაძე), ბაიოთხევის (მცხეთა 1995), აღაიანის (ბოჩოხაძე 1981), სამთავროს (ლევაშვილი 1985), ქუშანაანთგორის (რამიშვილი 1979) და ზემო იმერეთის (ბორი, კლდევთი) სინქრონულ სამაროვნებზე დადასტურებულ სამარხთა ტიპებთან, დაკრძალვის წესებთან, სამკაულებთან თუ კერამიკის ნიმუშებთან.

აღრეშუასაუკუნეების პერიოდის ხის ძელებით გადახურული ორმო სამარხები კონსტრუქციულად ანალოგიურია სამთავროს (მანჯგალაძე 1988), მოგვთაკარის (სიხარულიძე, აბუთიძე 1985), თხოთის მთის (მინაშვილი 1983), უინვალის (ჩიხლაძე 1999) სამაროვნებზე დაფიქსირებული ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხებისა, რომლებიც მდიდრულინვენტარიანია, ორჭოსნის ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხები კი უინვენტაროა.

აღრეშუასაუკუნეების პერიოდის ნამოსახლარის ფენაში წარმოდგენილი თიხის ჭურჭელი ფორმებისა და ორნამენტაციის მხრივ ანალოგიურია ურბნისის (ჭილაშვილი 1964), კარსნისხევის (ნიკოლაიშვილი 1993), უინვალის (ჩიხლაძე 1999) და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა აღრეშუასაუკუნეების ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკული ნიმუშების.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ექსპედიციამ შეისწავლა ამ პერიოდის ნამოსახლარი და სამაროვანი სოფ. ვალეში, აღგილ „ჭორატშიც“. მცირე სამუშაოები იქნება წარმოებული სოფ. კლდეში (2004 წ). ეს სამივე სამაროვანი სინქრონული და იდენტურია. როგორც ჩანს საკმაოდ პატარა ტერიტორიაზე (სიგრძე დაახლოებით 15 კმ) საკვლევ პერიოდში სამი

მოზრდილი დასახლება არსებულა, სამარხეული კომპლექსების შედარებითი სიღარიბე აშკარად მიუთითებს, რომ მათში დაკრძალულია ძირითადად მოწაომოქმედი მოსახლეობა. პარალელური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მესხეთი ა. წ. პირველ საუკუნეებში აღმოსავლური კულტურის გავლენის სფეროშია მოქცეული. და ეს არ არის შემთხვევითი. ამ პერიოდისათვის უკვე შესუსტებულა კოლხური კულტურის გავლენა, რომლის არეალშიც მესხეთი მოისაზრება მთელი ძვ. წ. I ათასწლეულის განმავლობაში. ახალი წელთაღრიცხვის I ს. ბოლოსათვის დიდ აღმავლობას განიცდის იბერიის სამეფო, რომელიც თავის გავლენას შიდა და ქვემო ქართლიდან ავრცელებს სამხრეთის რეგიონებისკენ (სომხეთი, სამცხე-ჯავახეთი) (საქართველოს ისტორია გვ. 139). ამ დროს იბერიის სამეფოს საზღვრები აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მოიცავს მესხეთ-ჯავახეთსა და ზემო იმერეთს. მძლავრად არის წარმოდგენილი ორჭოსანის ნასახლარზე ა. წ. VIII-X სს და ა. წ. XII-XVII სს ნამოსახლარი ფენები. ორივე ამ პერიოდის ნასახლარი დანგრეულია გარეშე ძალის მიერ. არქეოლოგიურად მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან ძალზე ძნელია, თუმცა მატერიალური კულტურის ელემენტებით ამ პროცესების დათარიღება კარგად ხერხდება. ადრეშუასაუკუნეების ხანის მონაპოვარიდან თარიღის თვალსაზრისით არსებითია მონაცრისფროდ გამომწვარი, რელიეფურ-ჭრილი ორნამენტით შემკული ქვევრები, ტაფები, ქოთნები, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას ჟინვალის ნაქალაქარის (ჟინვალი I 1983), რუსთავის და ურბნისის და სხვა მონაპოვართან. განსაკუთრებით საყურადღებოა დიდ ფერის ე.წ. „მქრქალი“ თხელკედლიანი მხარზე ტალღოვანი ორნამენტით შემკული ფრაგმენტები, რომლებიც ერთერთი ყველაზე მყარი ქრონოლოგიური განმსაზღვრელია ადრეშუასაუკუნეების გვიანი საფეხურისათვის (ჩხატარაშვილი მ. 1978, ტაბ. I-XIX). ა. წ. X ს. მეორე ნახევრიდან გაბატონებულია თურქ-სელჩუკური ტომები, რომლებიც აწარმოებენ ფართო ექსპანსიას ჩრდილოეთის მიმართულებით. ამ არეალში უქცევა სამცხის ტერიტორიაც. აქედან გამომდინარე ორჭოსანის, ისევე როგორც ჭორატის ნასახლარების განადგურებაში სწორედ ეს მომთაბარე ტომები უნდა ვიგულისხმოთ.

დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად თურქ-სელჩუკთა კოალიცია განადგურებული იქნა და საქართველოს ისტორიაში ახალი ფაზა, განვითარებული შუასაუკუნეების ეტაპი იწყება. სამცხის ისტორიაში ეს არის კულტურულ-ეკონომიური განვითარების აღმავლობის ეტაპი, რაც უპირველეს ყოვლისა ფართო სამშენებლო სამუშაოების გზით განხორციელდა. არქეოლოგიური მასალა შედარებით მწირია. კერამიკული ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია მოვარდისფრო რელიეფური სარტყელით შემკული მოზრდილი ქვევრები (წინა პერიოდის ტრადიციის გაგრძელება), თონები, კეცები, ქოთნები, ლანგრები, მოჭიქული ნაწარმი და სხვა ტიპიური, განვითარებული შუასაუკუნეების ხანის საქართველოს ფეოდალური ქალაქებისათვის (თბილისი, რუსთავი, ჟინვალი, ურბნისი, უჯარმა და სხვა) დამახასიათებელი მასალები და ამდენად მათი ასაკი ეჭვს არ იწვევს. დანარჩენი მონაპოვრიდან აღსანიშნავია რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები (შუბისპირი,

ისრისპირი, დანები. კულტურულ ფენაში აღმოჩენილი რუსუდან დედოფლის მონეტა მოჭრილია 1227 წ. რომელიც მიმოქცევაში არსებობდა 1246 წ-მდე. (დანართი K).

მნიშვნელოვანია შუა საუკუნეებით დათარიღებულ I კულტურულ ფენაში ლურჯად მოჭიქული ე.წ. ანატოლიური კერამიკის აღმოჩენის ფაქტი. მსგავსი ნაკეთობანი თურქეთის ტერიტორიაზე მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება. სწორედ ეს პერიოდი უნდა იყოს ორგოსანის ნასახლარის ნგრევის დასაწყისი და შესაბამისად ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო თურქეთის იმპერიის ჩრდილოეთი წარმოებულ ექსპანსიასთან. რასაც შედეგად სამცხის ტერიტორიის დაპყრობა, ახალციხის საფაშოს შექმნა და მოსახლეობის გამაპმადიანება მოჰყვა.

ძეგლზე მრავალრიცხვოვნად არის წარმოდგენილი (364 ერთეული). ვხვდებით, როგორც შინაურ ისე გარეულ საქონელს. ადრეშუასაუკუნეების ხანის ფენაში დადასტურდა კავკასიური ნაგაზის ძვლები (პირველი შემთხვევა). ორივე ფენაში გამოირჩევა კანჯარის ძვლოვანი მასალა. ეს უკანასკნელი დადასტურდა ჭორატის ადრეშუასაუკუნეების ხანის ნასახლარზეც (ბენდუქიძე, 2007, დანართი №E 1, 2).

7.0 დასკვნები და რეკომენდაციები

ორჭოსნის ნასახლარზე (IV-323) KP 248+800 - KP 249+800 მონაკვეთში მიღების ტრასების არქეოლოგიური შესწავლა დამოავრებულია და ამ ტერიტორიის დაკანონება მშენებელ ორგანიზაციას შეუძლია.

მიღების ტრასების გასწვრივ დაახლოებით 10-20 მ. სიგანეზე მიწის სამუშაოების წარმოება დაუშვებელია, რადგან შეინიშნება ნამოსახლარი ფენების გავრცელება. ბუნებრივია არ შეიძლება მიწის სამუშაოთა წარმოება მიღების ტრასებს შორის კორიდორში. მიწის ზედაპირის მოხსნაც კი გამოიწვევს კულტურულ ფენათა დაზიანება-დანგრევას.

8.0 ბიბლიოგრაფია

ბარამიძე მ; ფხავაძე გ. 2004 ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. წარედგინა BTS-ის კორპორაციას. კონტრაქტის ნომერი HL-075. 084. 087
ასლი ინახება ოთ. ლორთქიფანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში თბილისი

ბოხოზაძე ალ. 1981. არქეოლოგიური გათხრები აღაიანში და ძალისაში, თბილისი

გობეჯიშვილი გ. 1981. ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი
მანჯგალაძე გ. 1988. სამთავროს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიისათვის.

მირიანაშვილი ნ. 1983 შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი

ნიკოლაიშვილი ვ. 1978 ანტიკური ხანის ძეგლები საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი

ნიკოლაიშვილი ვ. 1993 კარნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება.

ორჯონიკიძე ალ. 2004 ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წლის ივნის-აგვისტოს თვეში ნასახლარ ორჯოსანზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. წარედგინა BTC-ს კომპანიას. ასლი ინახება არქეოლოგიის ინსტიტუტში. თბილისი

ორჯონიკიძე ალ. 2005 ორჯოსნის ნამოსახლარის ადრეული კომპლექსები. ძიებანი №15-16, თბილისი

ორჯონიკიძე ალ. 2005 მასალები საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის, თბილისი

ორჯონიკიძე ალ; ჯიბლაძე ლ. 2007 კიდევ ერთხელ ორჯოსნის ნამოსახლარის შესახებ. ოთ. ლორთქიფანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალი „ძიებანი“, თბილისი

რამიშვილი რ. 1979, ერწოს გელი გვიანარმაზულ ხანაში. თბილისი

საქართველოს არქეოლოგია, 1992, თბილისი

სიხარულიძე ან; აბუთიძე ა. 1985 მოგვთაკარის სამაროვანი. მცხეთა VII, თბილისი

ფხაკაძე გ. 1993. დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში, თბილისი

ჩიხლაძე ვ. 1999, არაგვის ხეობა ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ეინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი

ჩუბინიშვილი გ. 1963. ამირანის გორა, თბილისი

ჭილაშვილი ლ. 1964. ნაქალაქარი ურბნისი

ჯალაბაძე მ. 1998. ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდების ნამოსახლარი). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი

ჯაფარიძე თ. 1976 ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი

ჯაფარიძე თ. 1998 ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში. თბილისი

ძიძიგური ლ. 2000 ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა (იარაღი, ნეოლით-ადრეკუნის ხანა), თბილისი.

Авилова Л; Антонова Е; Тенеишвили Т. 1999

Металургическое производство в южной зоне циркумпонтийской металургической провинции в эпоху ранней бронзы. Российская археология №1 Москва.

Андраник Б. 1978. земледелие наших предков. Москва.

Ахундов Туфан 2001. Северо-Западный Азербайджан в епоху неолита и бронзы, Баку.

Джибладзе Л. 2005. новая уникальная археологическая находка из Орчосани археология, этнология, фольклористика Кавказа. Баку.

Иессен А. 1960. хронология больших кубанских курганов. Советская археология XII Москва-Ленинград.

Кореневский С. 1995. Галюгай I. поселение майкопской культуры. Москва.

Кореневский С. 2004. древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва.

Мунчаев Р. 1994. Майкопская культура Епохи бронзы Кавказа и средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа.

Российская археология, Москва

Пхакадзе Г. 2004. Новый очаг раннеземледельческой культуры в южной Грузии. Археология, Этнология, фольклористика Кавказа, Тбилиси.

Пхакадзе Г. Каландадзе К; Орджоникидзе А. 1982. Результаты работ Абастуманской Експедиции. Полевые Археологические исследования. Тбилиси.

Хвистани Р. 2005. Образец антропоморфной пластики из Орчосани. Международная научная конференция. Археология, Этнология и фольклористика Кавказа, Баку.

Черных Е. Н. 1978. Металлургические провинции и периодизация эпохи раннего металла на территории СССР. Советская археология №4.

Michael Muller – Karpe 2002. Zur Metallverwendung im mesopotamien des 4 und 3. Jahrtausends. Anatolian metal II, Bochum

კერამიკული მასალის რესტავრაციის ანგარიში

შოთა ირემაშვილი
თენგიზ დათუნაშვილი

ძეგლ ორქოსანზე მოპოვებული კერამიკული მასალის აღსადგენად ექსპედიციას გამოიყო 10 დღე.

სულ აღდგენილი იქნა ?? თიხის ჭურჭელი. აქედან ? ჭურჭელი აღდგენილი იქნა მთლიანად, ხოლო ?? ერთეული ნაწილობრივ. სამარხებიდან მომდინარე მასალა თითქმის მთლიანად აღსდგა. რაც შეეხება ნამოსახლარების მასალას, მრავალმა მათგანმა აღდგენის შემდეგ მიიღო გარკვეული ფორმა, რამაც საშუალება მოგვცა გარკვეულიყო ჭურჭლის დანიშნულება.

ჭურჭლის აღდგენა ხდებოდა შემდეგი მეთოდით: პირველად მოხდა მასალის გარეცხვა, შემდგომ ფრაგმენტები დალაგდა შემდეგი პრინციპით – ძირის ნატეხები ერთად, მუცლის ერთად და ყელ-პირისა ერთად. აღდგენა დაიწყო ძირიდან. შეწებება მოხდა წებოთი ПВА. ნაკლული მორფოლოგიური ნაწილები აღსდგა ან შეივსო თაბაშირით.

ლითონის მასალის კვლევის ანგარიში

ძეგლ IV-323, ორჭოსანზე მოპოვებული ლითონის ნივთების სარესტავრაციო სამუშაოებისა და ტექნოლოგიური გამოკვლევის შედეგები შემდეგნაირია: რესტავრირებულია ლითონის ორმოცდაორი არტეფაქტი, სპექტრული ანალიზით დადგენილია სამი არტეფაქტის ქიმიური შედგენილობა (ცხრილი 1, 2).

1. ღერაკი, №14-64B, (ტაბ. XXXIV). დამზადებულია დაბალპროცენტული შემცველობის კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu-76,2; Sn-2,25; Ag-0,08; Fe-0,004).
2. ისრის წვერი №4-23B (ტაბ. XXXIV). დამზადებულია დარიშხნიანი ბრინჯაოსაგან, ნიკელის დანამატით (Cu-96,0; As-1,5; Ni-1,2; Ag-0,16. ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით
3. ოობი, №112-218C (ტაბ. XXXIV). ნიკელ-დარიშხნიანი ბრინჯაოს შენადნობისაგან. (Cu-93,1; Ni-4,0; As-2,5).

მეტალოგრაფიულად შესწავლილია ერთი რკინის ნივთი: (ცხრილი 2) ნალი 229/717D, ცემენტირებული ფოლადი (C - 0,1-0,7) (ტაბ. XXXIV).

სპექტრული ანალიზის შედეგებით შესამჩნევია ახალციხის რეგიონალური ლითონდამუშავების ცენტრისათვის სხავდასხვა შენადნობების გამოყენების ტენდენცია. შენადნობის მასალა გამოყენებულია ნივთის დანიშნულების შესაბამისად. საყურადღებოა ნიკელის შემცველი ბრინჯაოს შენადნობების გამოყენების შემთხვევები.

ბრინჯაოს მასალის სარესტავრაციო სქემა:

ბრინჯაოს არტეფაქტები დამუშავდა მექანიკურად ლანცეტისა და სხვა ბასრი იარაღების გამოყენებით. სამუშაო მინდინარეობდა მიკროსკოპის ქვეშ მაღალი განათების პრობებში. გაწმენდილი ნივთი დამუშავდა აცეტონით და მშრალი ნივთები დაიფარა თემოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.)).

რკინის მასალის სარესტავრაციო სქემა:

რკინის ინგენირი დამუშავდა მექანიკურად, ბორმანქანაზე დამაგრებული ალმასისა და ფოლადის ჯაგრისის საშუალებით.

მექანიკურად გაწმენდილი ნივთები რესტავრირებულია შემდეგი სსნარიოთ: ტანინი + სპირტი + ორთოფოსფორმეჟავა, შემდეგ ეტაპზე კი მხოლოდ ტანინის სპირტსნარით (პროცესი განმეორდა რამდენჯერმე). საკონსერვაციოდ ნივთი დაიფარა თემოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.)).

რკინის არტეფაქტების ნაწილს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია.

რეკონსტრუქციისას გამოყენებულ იქნა არალდიტი 2020 A + გამამყარებელი არალდიტი 2020 B + ტალკი + ყავისფერი პიგმენტი.

ვერცხლის მასალის რესტავრაციის სქემა:

ვერცხლის მასალის რესტავრირებისას გამოყენებულ იქნა ქიმიური და მექანიკური მეთოდები. ვერცხლის ნივთების ნაწილი გაიწმინდა ტიტრიპლექსის წყალსნარით (500 მლ. დისტ. წყალი + 18,5 გრ. ტიტრიპლექსი). რესტავრირებული ნივთები დამუშავდა აცეტონით და

მშრალი ნივთები დაიფარა თემოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.)).

ნუმიზმატიკური მასალის რესტავრაციის სქემა:

ნუმიზმატიკური მასალა დამუშავდა მექანიკური და ქიმიური მეთოდებით. გამოყენებულ იქნა ლანცეტი და სხვა ბასრი იარაღები. სამუშაო შესრულდა მიკროსკოპის ქვეშ მაღალი განათების პროცესში. ქიმიური დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა ტიტრიკალექსის წყალსნარი.

რესტავრაციამდე და მის შემდეგ მოხდა არტეფაქტების ფოტო ფიქსაცია (ტაბულა XXXIII–XXXIV).

ცხრილი 1 სპექტრული ანალიზის შედეგები

ლაბორატორიის შიფრი	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Ni	Co	Au
U-681	დერაკი		76,2	2,25				0,08			0,004			
U-682	ისრის წვერი		96,0					0,16		1,5	0,004	1,2		
U-683	თოხი	თხრილი №2, C უბანი 112-218	93,1					0,3		2,5	0,007	4,0		

ცხრილი 2 სპექტრული ანალიზის შედეგები

მეტალოგრაფიული ანალიზის შედეგები

ლაბორატორიის შიფრი	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	C	Mn	Si	Ni	შენიშვნა
229/717	ნალი		0,1-0,7	0,15	0,29	0,15	ცემენტირებული ფოლადი

პალეოეთნობოტანიკური კვლევის ანგარიში

ნანა რუსიშვილი
ნ. მელაძე

ნამარხი ბოტანიკური მასალის გამოსავლენად შევისწავლეთ ორჯოსანის ნასახლარის სხვადასხვა ფენებიდან აღებული ნიადაგის ნიმუშები. პალეოეთნობოტანიკური თვალსაზრისით შესწავლილ იქნა 8 ნიმუში. ბოტანიკური მასალა აღმოჩნდა 6 ნიმუშში (ტაბ. XXXVII).

ნიადაგის სინჯები, ბოტანიკური მასალის გამოვლენის მიზნით, დამუშავდა ფლოტაციური მეთოდით, რაც გულისხმობს ნიადაგის ე. წ. გარეცხას წყლისა და CCL4-ის გამოყენებით. შემდგომ ხდება გამოვლენილი მასალის ფრაქციებად დაყოფა სხვადასხვა დიამეტრის საცრის

საშუალებით, მისი გაშრობა, გამაგრება-კონსერვაცია და მომზადება საიდენტიფიკაციოდ.

გამოვლენილი ბოტანიკური მასალა წარმოადგენს მცენარეთა განამარხებულ ნაყოფებსა და თესლებს. ბოტანიკური მასალის იდენტიფიკაცია სტერეოსკოპული მიკროსკოპის საშუალებით ხორციელდება გვარებისა და სახეობების დონემდე მორფოლოგიურ ნიშანთა კომპლექსის მიხედვით (Доброхотов 1961; Кац, Кац, Кипиани 1965; Роллов 1908; Latalova 1999).

მასალის შესწავლის შედეგად გამოვლენილია კულტურულ და სარეველა მცენარეთა 11 სახეობა. იდენტიფიცირებულია ხორბალი ორმარცვალა - *Triticum dicoccum* Schubl, ხორბალი ერთმარცვალა - *Triticum monococcum* L., კილიანმარცვლიანი ქერი - *Hordeum vulgare* L. (ცხრილი №1).

კულტურული ორმარცვალა დაფიქსირებულია 1 ნიმუშში (ცხრილი №1). მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (სურ. 1), პარამეტრებით და ინდექსებით მარცვლები აკმაყოფილებენ *Triticum dicoccum*-ისათვის მიღებულ ნორმებს (ცხრილი №2).

ერთმარცვალა - *Triticum monococcum* იდენტიფიცირებულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ცხრილი №1) და მხოლოდ ერთი მარცვალი. მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით და ჩატარებული გაზომვების მაჩვენებლებით შეესაბამება ერთმარცვალას პარამეტრებს (ცხრილი №6).

კილიანმარცვლიანი ქერი - *Hordeum vulgare* დაფიქსირებულია 2 ნიმუშში (ცხრილი №1). მხოლოდ 1 ნიმუშში მოხერხდა გაზომვების ჩატარება და პარამეტრების გამოანგარიშება (ცხრილი №3). მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (სურ. 2), ასევე ჩატარებული გაზომვებით და ინდექსებით მარცვლები მიეკუთვნებიან კილიანმარცვლიან ქერს - *Hordeum vulgare* L.

სარეველა და ველური მცენარეები

1. *Conringia orientalis* L. Andrz. – ოჯახი Cruciferae. თესლის ზომებია 2.3X1.2X1.2 მმ. ასარევლიანებს მარცვლოვან კულტურებს. იზრდება გზის ნაპირებზე. მცენარის ქართული სახელწოდებაა კომბოსტურა (სურ. 3).

2. *Galium spurium* L. – ენდონიკა. ოჯახი – Rubiaceae. თესლის ზომებია: 1.5-2X1-1.5X1.3-1.5 მმ. გავრცელებულია მთელ კავკასიაში. ასარევლიანებს მარცვლოვნებს, იზრდება გზებზე.

3. *Galium tricorne* Stokes. – ხოვერა. თესლის დიამეტრია 2-3 მმ. მარცვლოვანი კულტურების სარეველაა (სურ. 4).

4. *Lithospermum arvense* L. თესლის სიგრძე 2-3.5 მმ-ია, სიგანე და სისქე 1.75-2.25 მმ. ცნობილია როგორც საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლოვნების სარეველა იზრდება მდელოებზე, ბადებსა და ბოსტნებში. მისი თესლი გამოიყენებოდა შინაურ ფრინველთა გამოსაკვებად (სურ. 6.).

5. *Lolium sp.* – ღვარძალი. ოჯახი – Graminae (მარცვლოვნები). გვარის ფარგლებში ძირითადად მარცვლოვანი კულტურების სარეველებია (სურ. 5).

6. *Polygonum dumetorum* L. - ღობისძირა. ოჯახი – Polygonaceae. თესლის ზომებია 2.5 მმ. იზრდება ფართოფოთლოვან ტყეებში, იშვიათად ასარევლიანებს მარცვლოვან კულტურებს.

7. *Rumex acetosa* L. – მჟავნა. ოჯახი მატიტელასებრი (Polygonaceae). თესლის ზომებია $1,5X0,7$ მმ. ცნობილია როგორც სარეველა, ხშირად იზრდება მდელოებზე, საძოვრებზე და ბოსტნებში. მცენარის ახალგაზრდა დეროებისაგან და ფოთლებისაგან ამზადებენ მჟავე სუპს.

8. *Vicia* sp. – გვარის სახელწოდებაა ცერცველა. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად მარცვლოვნების სარეველებია. იზრდებიან აგრეთვე მდელოებზეც.

ამრიგად, ნამოსახლარის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია კულტურული ორმარცვალა და კილიანმარცვლიანი ქერი. შესაძლოა კულტურული ორმარცვალა და კილიანმარცვლიანი ქერი ერთ პოპულაციაში იზრდებოდა, ვინაიდან ორივე სახეობა კილიანმარცვლიანია. იდენტიფიცირებულ სარეველა და ველურ მცენარეთა ფართო სპექტრი ადასტურებს, რომ მოსავლის მოყვანა უშუალოდ ნამოსახლარის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდა. ზოგიერთი სარეველა მცენარე ადამიანის მიერ გამოიყენებოდა საჭმელად (მჟავნა), ზოგიერთი ცხოველების და ფრინველების გამოსაკვებად.

ცხრილი 1 განმარტება:

A6. №3 სამარხი D16 კვადრატი №2 თხრილი. 0 წერტილიდან 3 მ.

Lithospermum arvense.

A7 ნაგებობა №1 K კვადრატი №2 თხრილი ჩრდილოეთი. 0 წერტილიდან 0.70 მ.

Triticum dicoccum.

Triticum monococcum.

Hordeum vulgare.

Galium spurium.

Lolium sp.

Lithospermum arvense.

Polygonum dumetorum.

Rumex acetosa.

Vicia sp.

A8№1 სამარხი D16 კვადრატი №2 თხრილი. 0 წერტილიდან 3 მ.

A9. სამარხების თავზე. D16 კვადრატი №2 თხრილი. 0 წერტილიდან 3 მ.

Hordeum vulgare.

Galium spurium.

Galium tricorne.

Lithospermum arvense.

Rumex acetosa.

Vicia sp..

1C. ნამოსახლარი №2 ორმო. თხრილი B6 კვ-ტი. 0 წერტილიდან 3 მ.

3C. ნამოსახლარი, ნაცროვანი კერა, ორმოს კიდე.თხრილი B6 კვ-ტი. 0 წერტილიდან 2.20 მ.

Conringia orientalis

Galium spurium.

Lithospermum arvense.

Polygonum dumetorum

1D. ნამოსახლარი, სადაზვერვო №4 თხრილი 1 ორმო. 1.80 გ.

Lithospermum arvense.

Polygonum dumetorum.

ლიტერატურა

1. Доброхотов В. Н. 1961; – Семена сорных растений. Москва
2. Кац Н. Я; кац С. В. Кипиани М. Г. 1965; – Атлас и определитель плодов и семян встречающихся в четвертичных отложениях СССР М. наука
3. Роллов А. Х. 1908; – Дикорастущие растения Кавказа их распространение свойства и применение
4. Latalova M. 1999; – Palaeoecological reconstruction of the environmental conditions and economy in early medieval Wolin – against a background of the landscape. Acta Palaeobotanica vol. 39 №2 Krakow.

ცხრილი 1 ორჭოსანის ნამოსახლარის პალეოეტნობოტანიკური მასალის
სახეობრივი შემადგენლობა

№	Species	ადგილი								Familia
		A6	A7	A8	A9	1C	2C	3C	1D	
1	<i>Conringia orientalis</i> L.								+	Cruciferae
2	<i>Galium spurium</i> L.		+		+				+	Rubiaceae
3	<i>Galium tricorne</i> Stokes.				+					Rubiaceae
4	<i>Hordeum vulgare</i> L.		+		+					Graminae
5	<i>Lithospermum arvense</i>	+	+		+				+	Boraginaceae
6	<i>Lolium</i> sp.		+							Graminae
7	<i>Polygonum dumetorum</i> L.		+						+	Polygonaceae
8	<i>Rumex acetosa</i> L.		+		+					Polygonaceae
9	<i>Triticum dicoccum</i> Schubl		+							Graminae
10	<i>Triticum monococcum</i> L.		+							Graminae
11	<i>Vicia</i> sp.		+		+					Leguminosae

ცხრილი 2 *T. dicoccum*-ის პარამეტრები და ინდექსები

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	5	2.2	1.8	2.27	44	36	81.82

ცხრილი 3 *T. monococcum*-ის პარამეტრები და ინდექსები

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	4	1.1	1.5	3.64	27.5	37.5	136.4

ცხრილი 4 *Hordeum vulgare*-ს პარამეტრები და ინდექსები

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%

1	5	3.6	2	1.39	72	40	55.56
2	5.5	3.2	2	1.72	58.2	36.4	62.5
3	6	3.5	2.1	1.71	58.3	35	60
4	5.5	2.8	2	1.96	50.9	36.4	71.43
5	6	3	2	2	50	33.3	66.67

პალეობოტანიკური ანალიზის ანგარიში

ოლეგ ბენდუქიძე

2005 წელს მოპოვებული ორჭოსანის ოსტეოლოგიური მასალა შინაური ცხოველების ნაშთების სიჭარბით ხასიათდება. დადასტურდა რამდენიმე ჯიშის შინაური ცხოველი და ფრინველი: მსხვილფეხა საქონელი, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, ძაღლი და ქათამი. ამას გარდა მოპოვებულ მასალაში აღმოჩნდა აგრეთვე გარეული ცხოველების ძვლები, რომელთა შორის იყო კავკასიის კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*), შველი (*Capreolus capreolus*), კანჯარი (*Equus hemionus*) ხარი (*Bos primigenius ssp*) და ცხვარი ანუ მუფლონი (*Ovis orientalis*).

ორჭოსანის შუასაუკუნეების შინაური ძროხის ძვლები თანამედროვე ხევსურული ჯიშისაზე დიდია. ორ კულტურულ ფენაში ნაპოვნი ძროხის მხრის ძვლების ქვედა ბოლოების შედარებამ გვიჩვენა, რომ ზომებისა და მორფოლოგიის მიხედვით, ყველა ეგზემპლიარი ერთი ტიპისაა, რაც ორჭოსანის ძროხის ჯიშობრივ ერთგვაროვნებაზე მიგვანიშნებს. ცხვრის, თხისა და ღორის ნაშთებიც თავისი ზომებით არ განსხვავდებიან საქართველოში ამჟამად გავრცელებულ ჯიშებისგან. ორჭოსანის ღორის ნაშთები პატარა ზომისაა. შესაძლოა, რომ იგი თანამედროვე კახეთში გავრცელებული აბორიგენული შავი ჯიშის ღორის ანალოგს წარმოადგენდეს.

ორჭოსანის ცხენის ნაშთები (ტაბ. XXXVI. №3) ადრეშუასაუკუნეების ფენებიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგანაც მოშინაურებული ცხენი ადრე ბრინჯაოს ხანაში საქართველოში არ იყო.

ორჭოსანში დადგინდა ორი ტიპის ძაღლის არსებობა: პატარა ზომის ეგრეთ წოდებული უჯიშო ძაღლი (ადრებრინჯაოს ხანაში) (ტაბ. XXXVI, №1) და დიდი ზომის ძაღლი (ტაბ. XXXVI, №2), რომლის ნაშთები აღმოჩნდა ადრეშუასაუკუნის ფენაში. შედარებითმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ორჭოსანის ადრეშუასაუკუნეების ფენაში ნაპოვნი დიდი ძაღლის ძვლები თავისი ზომებითა და მორფოლოგიით აშკარად უახლოვდება ქართულ მეცხვარულას (*Canis pastoralis morpha caucasica*) და მგლის (*Canis lupus*) ძვლებს. კავკასიური ნაგაზის ტიპის, დიდი ზომის ძაღლის ნაშთი აღმოჩნდა როგორც “A”, ასევე “D” უბნებში.

აღსანიშნავია, რომ თავისი ზომით და მორფოლოგიით ორჭოსანის ძაღლის მხრის ძვალი არ განსხვავდებოდა იმ დიდი ძაღლის მხრის ძვლისგან, რომელიც ნაპოვნი იქნა კლდის რომაული ხანით დათარიღებულ ფენაში.

ორჭოსანზე და კლდეში ნაპოვნი ძაღლის მასალის იდენტურობა განსაზღვრავს მესხეთ ჯავახეთში კავკასიური, ანუ ქართული ნაგაზის არსებობას რომაულ და ადრეშუასაუკუნეების პერიოდებში.

ცნობილია, რომ კავკასიაში კანჯარი შუასაუკუნეებამდე არსებობდა. ორჭოსანის ადრებინჯაოს ფენებსა და ჭორატის ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარზე კანჯარის ნაშთების აღმოჩენამ ცხადყო ეს მოსაზრება(ტაბ. XXXVI, №4).

გარეული ხარი შინაური ძროხის უშუალო წინაპარია და იგი წარსულში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის ყველა ქვეყანაში (გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ლიტვა, რუმინეთი, ბელორუსია, უკრაინა, რუსეთი), სადაც იგი შუასაუკუნეებამდე ბინადრობდა. საქართველოს ტერიტორიაზე Bos primigenius-ის ნაშთები ბოლო დრომდე მხოლოდ პლეისტოცენურ დანალექებში იყო აღმოჩენილი (ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ვეგუა, 1980, 1981) ამ ცხოველის ნაშთი პირველად აღმოჩნდა კახეთში (დამწვარი გორა). შემდგომში ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა, გ. მელაძემ და გ. ჩიქოვანმა (1991) გამოაქვეყნეს გარეული ხარის ძვლების აღწერა, ცნობილი აბანოს ხევის გათხრებიდან (დუშეთი). იგივე ავტორების მიხედვით Bos primigenius-ის ძალიან დიდი ზომის ქუსლის ძვალი თავის დროს იყო ნაპოვნი არუხლოშიც.

ჩემს მიერ აღმოჩენილია მცირე ზომის გარეული ხარის რქები სამელე კლდისა და ძუძუანას მდვიმეებში. ორჭოსანში ნაპოვნი გარეული ხარი ალბათ იყო იმ დიდი ზომის შინაური ხარის წინაპარი, რომლის ნაშთებიც აღმოაჩინა ბ. კუფტინმა თრიალეთის ყორდანებში.

ორჭოსანში ნაპოვნი გარეული ხარის ნაშთი ახლოს დგას ასევე პატარა ზომის გარეულ ხართან, რომელიც აღმოჩნდა ნაჭივჭავებში (თეთრიწყაროს ენეოლითი).

გარეული ცხვარი ანუ მუფლონი (*Ovis orientalis*) თანამედროვე პერიოდში მხოლოდ სამხრეთ სომხეთში ბინადრობს (ტაბ. XXXVI, №5). ორჭოსანის გარდა ეს ცხოველი ქვემო ქართლის ძეგლების ენეოლითურ ფენებშიც (წოფი, იმირის გორა) არის აღმოჩენილი (ბენდუქიძე, 1979), რაც გვიჩვენებს იმას, რომ გარეული ცხვარი უძველეს დროში საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილა გავრცელებული.

ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წელს მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის აღწერა-ატრიბუცია

გიორგი დუნდუა

ახალციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2005 წელს მიაკვლია სპილენძის ერთ და ვერცხლის სამ მონეტას.

1. ორჭოსანი №2-16. 21.04.05. ქაბული I თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე, ზედაპირული IV-323 (b).

სპილენძის მონეტა. დაცულია ცუდად. მოჭრილია რუსუდანის (1222-1245 წწ) სახელით. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მისი აღწერილობა ასეთია:

შებლის რთულ ორნამენტალურ ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი ასომთავრული შრიფტით, ხოლო ორნამენტის ბუდეებში თარიღი ქორონიკონით 1227წ.

ზურგზე არაბულად ოთხსტრიქონიანი ლეგენდა: დედოფალი მეფეთა და დედოფალთა [მშვენება ქვენისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, ასული თამარისა, მესიის თაყვანისცემული] განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი. გარშემო წერტილოვანი რკალი. მონეტის თარიღი 1227 წ. ნიშნავს სამონეტო ტიპის შემოღების და არა ემისიის წელს. იდენტური მონეტები ძალიან დიდი რაოდენობითაა ცნობილი.

2. ვერცხლის ორი მონეტა აღმოჩნდა №1 სამარხში. IV-323 (b₁). 23-118.

ა) შესანიშნავად დაცული იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ. წ. 27-ას. წ. 14 წწ) დენარი მოჭრილი ძვ. წ. 2-ას.წ. 4 წწ-ში ლუგდუნუმის (?) ზარაფხანაში (გალიის პროვინცია, თანამედროვე ლიონი). მას ასეთი სახე აქვს.

Av დაფნის გვირგვიანიანი იმპერატორ ავგუსტუსის პროფილი მარჯვნივ. გარშემო ლათინური ზედმიწერილი: AYGYSTYS DIVI F PATER PTRIAE. ირგვლივ ხაზოვანი რკალი.

Rv ცეზარების გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულება მთელი ტანით, რომლებიც ფარებს ეყრდნობიან, მათ უცან შუბები, ზემოთ მარცხნივ-სიმპულუმი, მარჯვნივ-ლიტუსი. ლათინური ზედნაწერი: ქვემო-CL CAESARES, გარშემო-AYGYSTI F CoS DESIG PRINC IYYENT. ყველაფერი ეს ჩასმულია ხაზოვანი რკალში.

ბ) ამავე სამარხში აღმოჩნდილი მეორე მონეტა ძალიან ცუდადაა დაცული და მისი ზუსტი ატრიბუცია შეუძლებელია. თეორიულად ისიც, ალბათ, ავგუსტუსის დენარია, ან სამარხებში მისი მუდმივი „თანამგზავრი“, ე. წ. გოტარზის (41-51 წწ) პართული დრაქმა.


3. IV-323 (b₁), სამარხი №2 23-129. ავგუსტუსის დენარი, იგივე ტიპი, იგივე ზარაფხანა და თარიღი.


Av როგორც №2. წრიულ ლეგენდიდან იკითხება: ... DIVI F PATER PATRIAЕ.


Av როგორც №2. წრიული წარწერა: CL CAESARES (ქვემო), AYGYSTI F CoS DESIG PRINC IYYENT.


ამ მონეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის არ მოიძებნება პუნქტი, სადაც არ იყოს აღმოჩნდილი ავგუსტუსის დენარები. მათი საერთო რიცხვი დაახლოებით 200 ეგზემპლარით განისაზღვრება. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ იძერის სამონეტო ცირკულაციაში სუკუნების მანძილზე ისინი აუცილებელი კომპონენტია. საქმე ისაა, რომ ეს მონეტები მიკვლეულია არა მარტო I-II საუკუნეებით დათარიღებული, არამედ III საუკუნის სამარხებშიაც. მათი ცირკულაციის პერიოდი I-III საუკუნის შეა ხანებით უნდა შემოიფარგლოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც წყდება ამ მონეტების მასობრივი შემოსვლა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, იჭრება მათი ადგილობრივი იმიტაციები.


და კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: როგორც
დამათარილებელი მასალა, ავგუსტუსის დენარები საკმაოდ
„კომპრომეტირებულია“, ვინაიდან, როგორც გვქონდა აღნიშნული, ისინი
მასობრივად გვხვდება გვიანდელ, კერძოდ, III საუკუნის სამარხებში.



















VIII



IX



X




Area D
I Layer



ORCHOSANI
IV-323
KP 249+800

Area D
II Layer


XI



XII

**ORCHOSANI
IV-323**

Burial N 27




141-142

24-133


24-132

Burial N 32




2-137

Burial N 17



0 1 2 3

ძეგლი IV-323 ორგოსანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში




ORCHOSANI


Area B¹

IV-323

Burial N 1




23-122



23-127




23-120




23-126



23-121




23-125



23-123




23-124




23-119

0 1 2 3

XV







ძეგლი IV-323 ორჯოსანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში

XVII

ORCHOSANI
IV-323
Area C
Trench N 2
Burial N 15



57-186



13-39

0 1 2 3


XVIII

ORCHOSANI

Area C

IV-323

Trench N 2



Burial N 15
104-206




Pit N2
106-211-212






101-192-194




Burial N 5




103-200



Burial N 20
103-202



Burial N 2
107-213




XIX


ORCHOSANI

IV-323


Area C
Trench N 2




52- 172



143- 146



143- 146





0 1 2 3



ძეგლი IV-323 ორგონისანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში

XX








ძეგლი IV-323 ორგოსანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში


XXII


ORCHOSANI Area C

IV-323
Trench N 2





XXIII






ORCHOSANI
Area - D
IV-323






XXVII



ძეგლი IV-323 ორგოსანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში

XXVIII



ძეგლი IV-323 ორჯოსანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში


XXIX




XXX



XXXI



XXXII




XXXIII





XXXV







ძველი IV-323 ორგოსანი, 249-ე ქმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში